ალია

რეკლამა ალია
577 44-44-42
577 99-99-96

N3(2933) 10-13 იანვარი 2014 წ PRESS ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან



# ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილს დაუპირისპირდა?



რატომ „მიიჭირხნა“ საქართველოს არჩეული პრეზიდენტი? რა ინციდენტი შეემთხვა მას ბიძინა ივანიშვილთან? რეალურად, დაიმუქრა თუ არა გადადგომით მარგველაშვილი? ვინ უშლის ხელს „ოცნების“ ხელისუფლებას რეფორმების განხორციელებაში?

ვრცლად გვ. 5



# რეალურად, ვინ არის საშობაო ეპისტოლეს ავტორი

## და ვინ აფათურებს ხელებს საპატრიარქოში?

რა ხდება პატრიარქის გარშემო? ვისი ფარული ზრახვები და ინტერესები დგას საშობაო ეპისტოლის მიღმა? რატომ საუბრობენ სასულიერო პირები პატრიარქის წინააღმდეგ დიდ შეთქმულებაზე და რეალურად, ვინ არის საშობაო ეპისტოლეს ავტორი, რასაც ჩასაფრებული „ლიბერასტების“ პროტესტი მოჰყვა?

ვრცლად გვ. 3



# რა გახმაურებულ საქმეებს ჩამოაშორეს კბილაშვილის პროკურორები?



რომელი მაღალჩინოსანი „ნაციონალები“ ფიგურირებენ მათ მიერ გამოძიებულ საქმეებში და ვის დაავალეს მათი კონტროლი? რატომ კითხავდნენ მოწმეებს გასაიდუმლოებულად და რა თავდაცვის იარაღი აქვთ შემონახული საქმეების გამოძიების გასაგრძელებლად? რეალურად რა მიზნით გაათავისუფლეს პროკურატურიდან და ვინ „ამაგრებს“ „ნაციონალებს“ უწყებაში?

ვრცლად გვ. 11

## ბრალდებები თინა ხიდაშელის წინააღმდეგ



## გენერალური შეტევა პატრიარქის წინააღმდეგ



## ბაჩო ახალაიას ადვოკატს იჭერენ?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ ცვლიან უკუთვლის რეჟიმის შუქნიშნებს?



ქალაქში არსებული უკუთვლის რეჟიმის მქონე შუქნიშნების შეცვლასთან დაკავშირებით, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, თბილისის მერიამ განცხადება გაავრცელა.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, დედაქალაქში ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შუქნიშნების მონტაჟი მიმდინარეობს. თითოეული მათგანი აღჭურვილია დეტექტორებითა და ვიდეოკამერებით, მიერთებულია მართვის ერთიან ცენტრთან, საიდანაც ხდება მათი ოპერატიული მართვა.

„ახალი შუქნიშნები ავტომატიზებულია და დეტექტორების მიერ, დათვლილი და მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, უზრუნველყოფს გზაჯვარედინზე შუქნიშნის ისეთ რეგულირებას, რომლის დროსაც მწვანე ფერი, იმ მხარეს საიდანაც მეტი რაოდენობის მანქანა მოძრაობს დროის კონკრეტულ მონაკვეთში მეტი ხნით ენთოს. ყოველივე ეს უზრუნველყოფს გზაჯვარედინზე მანქანების უფრო დიდი ნაკადების გატარებას, ვიდრე ეს ძველი შუქნიშნების პირობებში იყო შესაძლებელი“, – ნათქვამია განცხადებაში.

## პრეზიდენტი თურქეთს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი 20 იანვარს ოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრება. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, ვიზიტის ფარგლებში ანკარაში დაგეგმილია ოფიციალური შეხვედრები თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ აბდულა გიულენთან, პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ტაიპ ერდოღანთან და თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე ჯემილ ჩიჩექთან.

გიორგი მარგველაშვილი ათათურქის მავზოლეუმშიც მივა და მის საფლავს გვირგვინით შეამკობს.

ოფიციალური შეხვედრების შემდეგ ანკარაში საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების ერთობლივი პრესკონფერენციაც გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)

## შიდსის 8 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

წელს საქართველოში აივ/ინფექცია-შიდსის 8 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ცნობით, ინფიცირებულთა შორის ხუთი მამაკაცი და სამი ქალია.

ცენტრში სულ შიდსის ვირუსით ინფიცირების 4131 შემთხვევაა რეგისტრირებულია. მათ შორის 3032 მამაკაცია, 1099 ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 39 წლამდეა. შიდსი განუვითარდა 2483 პაციენტს, მათ შორის 896 გარდაიცვალა. 2013 წელს 96 პირი გარდაიცვალა, რომელთა შორის 76 მამაკაცია და 20 ქალი. მკურნალობას 1730 პაციენტი იტარებს, მათ შორის 41 ბავშვია.

რეგისტრირებულ შემთხვევათა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით ასეთია: 51.2% (2116) – ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია; 40.2% (1660) – დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად; 5.2% (215) – ჰომო-/ბისექსუალური კონტაქტით, 2.0% (81) – დაინფიცირდა ვერტიკალური გადაცემის გზით; 0.5% (22) – სისხლის რეციპიენტია; 0.9% (37) – გადაცემის გზა დაუდგენელია.

აივ-ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში (1447 შემთხვევა, მათგან 81 უცხოეთის მოქალაქეა, 2 – დაუდგენელი. მეორე ადგილზეა სამეგრელო, სადაც 582 შემთხვევაა დაფიქსირებული (აქედან ზუგდიდი – 427); აჭარაში 481 (ბათუმი – 318), იმერეთში 550 (ქუთაისი 285), აფხაზეთში (309), კახეთში (182) ქვემო ქართლში (194), შიდა ქართლში (130), გურიაში (85), ფოთში (65), სამცხე-ჯავახეთში (45) და ა. შ.

2013 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, დაფიქსირებულია 490 ახალი შემთხვევა. ინფიცირებულთა შორის 34% ნარკოტიკების მომხმარებელია. 51%-ს ინფექცია ჰეტეროსექსუალური გზით გადაედო; 13%-ს ჰომოსექსუალური გზით; 0.7% რეციპიენტია, ხოლო დაინფიცირების 1% დაუდგენელია.

სულ საქართველოში გამოვლენილია 85 აივ-ინფიცირებული ბავშვი (0-15 წლამდე), მათგან 53 ვაჟია, 32 – გოგონა, 25 – გარდაიცვალა. 2013 წელს გამოვლინდა ბავშვთა დაინფიცირების 4 შემთხვევა.

(ინტერპრესნიუსი)

# რატომ დაითხოვეს სინამდვილეში კბილაშვილის კადრები?

9 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურატურის ყოფილმა თანამშრომლებმა სპეციალური მიმართვა გაავრცელეს. ადრესატები პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები არიან. განცხადებაზე ხელმომწერი 6 პირი აღნიშნავს, რომ პროკურატურიდან მათი განთავისუფლება იძულებით მოხდა. ისინი მოუწოდებენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მოხდეს სამართლიანობის აღდგენა და დაუყოვნებლივ დააბრუნონ ისინი თანამდებობებზე. ასევე, განთავისუფლდეს პროკურატურა ფინანსური პოლიციიდან გადაყვაზაძეს, როგორც კი თავი თბილ სავარძელში დაუგულებია, საქმეების შესწავლა-გამოძიების ნაცვლად, თანამშრომლების კარიკატურების ხატვა დაუწყია. ერთ დღესაც უცნაური მუზა მოსვლია და დაუხატავს, როგორ „მისჯდომია“ მის ერთ-ერთ კოლეგას ცხენი. ამ ადამიანს ეს რომ გაუგია, პროკურატურაში ამტყდარა ბათქი, ლამის დალეწეს მთელი შენობა. მაშინ, როცა ასეულ ათასობით ადამიანი პროკურატურიდან ელოდებოდა პასუხს წართმეული ქონებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, „ნოზაძეები“ და ძმანი მისნი კარიკატურების ხატვით იყვნენ დაკავებულები.



ტით. შეიძლება ზოგს ეს ამბავი დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ, როგორი კადრებიც არჩილ კბილაშვილმა დააწინაურა, ყველაფერი საქმეების გახსნაზე აისახა და ფაქტები ფაქტებად რჩება.

მეტიც, ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ბუაძე სისხლის სამართლის კოდექსში ეძებდა 96-ე პრიმა მუხლს, რომელიც 1960 წლის კოდექსში იყო. როდესაც ეს ადამიანი ამ-

ნი დავითი არ გახლავთ წვრილი მევახშე, ის უკვე ვარსკვლავებს ეთამაშება. ცნო-



ნილი კადრებისგან.

მოკლედ, არჩილ კბილაშვილის მიერ დაწინაურებული კადრები, რომლებიც ოთარ ფარცხალაძემ პროკურატურიდან გაუშვა და რატომღაც აქამდე ხმას არ იღებდნენ, დღეს ალაპარაკდნენ... სწორედ მაშინ, როცა თავად ფარცხალაძე აღარ არის მთავარი ბრალმდებელი. მართალია, სამსახურიდან გაშვებული პროკურორები თავს იმართლებენ, ისეთ რაღაცებს გვავალებდნენ, რის გაკეთებაც კანონის დარღვევა იქნებოდაო, მაგრამ „ალიას“ ხელში ჩაუვარდა თითოეული მათგანის ე.წ. დოსიე... მაგალითად, პროკურორ გიორგი ნო-

ლევან ბუაძე – მთავარი პროკურატურის სამმართველოს ყოფილი უფროსი. თურმე ამაზე თანამშრომლები დღემდე იცინიან... როდესაც მას „ვორდის“ ფაილში როგორღაც წერა ასწავლეს და ერთი გვერდი რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრა, ჩათვალა, რომ ფურცლები გაუთავდა და მდივანს ქაღალდი მოსთხოვა, რათა კომპიუტერში ჩაეტვირთა. ბუაძე თურმე ელექტრონულ ფოსტას არ იყენებდა პრინციპულად, შეიძლება წერილები გზაში დაიკარგოსო. მის აზრით, რაც უფრო შორსაა ადრესატი, მით უფრო აგვიანებს წერილის მისვლა ელექტრონული ფოს-

ბროლაურში მუშაობდა ოლქის პროკურორად, დათვის განზრახ მკვლელობაზე დაიწყო გამოძიება. არჩილ კბილაშვილმა დააწინაურა თუ არა, სამსახურში მისულმა იკითხა, მბეჭდავი თუ მეყოლებაო... ეგონა, რომელიმე კოხტა გოგოს მისი ტექსტები მანქანაზე უნდა ებეჭდა.

დავით მჭედლიშვილი – მთავარი პროკურორის მოადგილე. წყაროს ცნობით, იყო და არის ერთ-ერთი სალომბარდო კომპანიის („დ კრედიტი“) დამფუძნებელი. მისი მეტსახელი ყოფილა „ინდაური“ და ტიპი მევახშეობს ოფიციალურ დონეზე. როდესაც მთავარი პროკურორის მოადგილე გახდა, თავისი სალომბარდო ბიზნესი გადააფორმა ოჯახის წევრებზე. მჭედლიშვილის წინააღმდეგ არსებობს ასეულობით საჩივარი, ძალიან ბევრი ადამიანი ჰყავს გამწარებული. ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ მთავარი პროკურორის მოადგილე იყო და ამ პერიოდში, ანუ 2013 წელს მისმა სალომბარდო დივიდენდმა შეადგინა 500 ათასი ლარი. ასე რომ, ბატო-

ბისთვის: მჭედლიშვილი ზურაბ ადეიშვილის აღზევების პერიოდში იყო კახეთის საოლქო პროკურორის მოადგილე, 2005 წელს ქრთამის აღების ფაქტზე „კუდს“ აუყვანია, მაგრამ რაკი ადეიშვილთან ახლობლობდა, მხოლოდ მოხსნა აკმარეს.

შოთა რეხვიაშვილი – მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე. ეს ადამიანი გახლავთ კომპანია „თბილქარის“ გენერალური დირექტორი, რომელმაც თავის დროზე გაიმარჯვა ყვითელი „მარშრუტკების“ ტენდერში. ალბათ, გახსოვთ, იმ პერიოდში აღნიშნულ ტენდერს დიდი სკანდალი მოჰყვა, მაგრამ ძმებ შარანგიებისა და გიგი უგულავას წყალობით, გამარჯვებული რეხვიაშვილი გამოვიდა.

კახი წერეთელი – საპროცესო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი. თავის დროზე მუშაობდა გიორგი ყავლაშვილის საადვოკატო კანტორაში, რომელიც განსაკუთრებულ საქმეებზე „ჩალიჩობდა“ მურთაზ ზოდელავასთან და ზურაბ ადეიშვილთან ერთად.

მიხეილ ორჯონიკიძე – თბილისის პროკურატურის პროკურორი. ამ ადამიანმა თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ ერთ-ერთმა დაზარალებულმა, რომელმაც განცხადება დაუწერა, თვითონ ის დაიბარა და უთხრა: ეს კინკილა ფურცელი რაში მჭირდება, ამ საქმის ირგვლივ გამოძიება ჩაატარე და მასალები მომიტანეო. მოკლედ, გამოძიებული საქმე მომიტანეო.

ნანა სოხაძე – სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორი. სანამ არჩილ კბილაშვილი მიიყვანდა პროკურატურაში, იყო ადვოკატი სამოქალაქო საქმეებში. ამიტომ, როგორც კი გაპროკურორდა, მხოლოდ იმ საქმეების დამთავრებაზე დაიწყო ფიქრი, რაც მას ქონდა ადვოკატობის პერიოდში. სასამართლო სხდომებზე ადვოკატს ეჯდა გვერდში.

აი, ასეთი კადრების დაწინაურება დაიწყო არჩილ კბილაშვილმა და შედეგიც სახეზეა: 1 წლის განმავლობაში, რაც კბილაშვილი ხელმძღვანელობდა პროკურატურას, საქმეების გამოძიების დაწყებაზე უარი ეთქვა 4 ათას დაზარალებულს. მიუხედავად ამისა, დღეს მთავარ პროკურატურაში ჯერ კიდევ მუშაობს არჩილ კბილაშვილის მიერ მიყვანილი 60 ადამიანი.

ეს არის იმ ამოცანის ამოხსნა, რასაც ჰქვია სამართლიანობის აღდგენის ჩაფლავების პროცესი. როდესაც 4 ათას ადამიანს სახლში უიმედოდ გაისტუმრებ, ცხადია, უვიცობის გარდა, რაღაც კერძო ინტერესებიც უნდა გქონდეს... ისე, კარგია, როცა მთავარი პროკურორის მოადგილეც ხარ და მთავარი მევახშეც, ყვითელი მიკროავტობუსების „კამანდირიც“. მოკლედ, ამდენი „სიკეთე“ რამდენიმე ადამიანს რომ დაატყდება თავზე, კი უნდა აკეთონ მერე განცხადებები, სხვა რაღაცების კეთებას გვაიძულებდნენ და გინდათ თუ არა, აუცილებლად დაგვაბრუნეთ თანამდებობებზეო. ისე, სადაც სამართალია, მათმა „მშობლიურმა“ პროკურატურამ მათივე წინააღმდეგ უნდა დაიწყოს მოკვლევა, მაგრამ აბა, რა ვიცი, იზამს?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ინციდენტის მონაწილეები დააჯარიმეს




საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საპატრიარქოსთან მომხდარი შეხლა-შემოხლის დროს დაკავებული ოთხი პირიდან სამს 100-100-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრათ, ხოლო ერთმა სასამართლოსგან შენიშვნა მიიღო.

დაჯარიმდნენ თორნიკე ქავთარაძე, სანდრო ზაუტაშვილი და ევგენი ქავთარაძე, გაფრთხილება კი ვეფხვია ღვალაძემ მიიღო.

ბრალდებულები, რომელთაც ბრალად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით 166-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ედებოდათ, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს, ბრალს არ აღიარებენ. ერთ-ერთი ბრალდებულის ვეფხვია ღვალაძის განცხადებით, ის დაპირისპირებულებს აშველებდა.

საპატრიარქოსთან მიმდინარე აქციაზე პატრიარქის ეპისტოლეში სუროგაციასთან და ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ ჩანაწერს აპროტესტებდნენ. აქციაზე გამოჩნდნენ პატრიარქის ეპისტოლეს მომხრეები. მხარეებს შორის დაპირისპირება მოხდა, მათ შორის ფიზიკური, რაც პოლიციამ განმუხტა. (ინტერპრესნიუსი)

## ქურდულ სამყაროსთან მიდგომა არ გადაიხედება

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი ვახტანგ ხმალაძის განცხადებას ეხმაურება და აცხადებს:




„მან თქვა, რომ, თუ რამე დასაზუსტებელია, შეიძლება დაზუსტდეს. პრაქტიკა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა, არ იყო სწორი, მაგრამ მიდგომა არ გადაიხედება არანაირად. ეს არის არა ჩემი, არამედ ხელისუფლების დამოკიდებულება. ის, რომ არასწორი პრაქტიკა იყო, არ იძლევა გადახედვის საფუძველს. თუ რაიმე დახვეწა იქნება კანონით შესაძლებელი, კანონმდებლობა ყოველთვის იხვეწება“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

შეგახსენებთ, ვახტანგ ხმალაძის აზრით, ქურდული სამყაროს წევრობასთან და კანონიერ ქურდობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი გადასახედია. „კანონში ჩადებული ნორმა ვერ აკმაყოფილებს ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს და ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი და პრობლემური. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა არის კანონიერი ქურდობა და ქურდული მენტალიტეტი და უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტულ მოქმედებასთან, რომლის გამოც შეიძლება პირი გასამართლდეს. იმის გამო, რომ, ვთქვათ, მე მომწონს ქურდები და მომწონს ქურდული ურთიერთობები, არ შეიძლება ციხეში ჩამსვან“. (ინტერპრესნიუსი)

მიზანი მიღწეულია, პატრიარქზე მორიგი თავდასხმა განხორციელდა. ეპისტოლეს იდეის ავტორი და შემსრულებელი საპატრიარქოში უნდა ვეძებოთ, ვინც არა ქართული, არამედ რუსული ინტერესი გაატარა, ვინც არასწორი აქცენტებით მოახერხა პატრიარქის წინააღმდეგ ხალხის გამოიწვია.

თემა მძიმეა, რეალობა მწარე, ცხოვრება ბოროტებასთან ბრძოლა და მასზე გამარჯვებაა, ჩვენ არც არავის განვიკითხავთ და არც არავის ვაკრიტიკებთ, ყველას თავისი სიმართლე აქვს და ამიტომაც, ის სიმართლეც უნდა გამოვიდეს სამსჯავ-ისურვა და გაგვიმხილა ის დეტალები, ვისი ინიციატივით მოხდა საშობაო ეპისტოლეში მტკივნეული თემების გაჟღერება. სასულიერო პირები ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს ერიდებიან ბევრი მიზეზის გამო, თუმცა ჩვენ ვალდებული ვართ, მოპოვებული ინფორმაცია საზოგადოებამდე პატრიარქის მდივან-რეფერენტის შორენა თეთრუაშვილის კარნახითა და მისი შეხედულებით. გავრცელებული ინფორმაციით, ეს ქალბატონი ყოველთვის რუსეთის საპატრიარქოს ინტერესებს ატარებს და ამ გზით რუსეთზე მუშაობს, რუსეთი დაინტერესებულია პატრიარქის ინტერესია, ქვეყანაში ვითარება ხელოვნურად დაძაბოს და ხალხი დააპირისპიროს. მაშინ, როცა საქართველო ევროპულ გზას დაადგა და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე თველა დარჩა, რუსეთი დაინტერესებულია, ევროპულ იდეებს ქართველი ხალხი აუ-

# რეალურად, ვინ არის საშობაო ეპისტოლეს ავტორი

## და ვინ აფათურებს ხელებს საპატრიარქოში?

ამხედრება და ყველაზე მგრძნობიარე საკითხის, სუროგატი დედის გზით ახალი სიცოცხლის გაჩენის სამსჯავროზე ისე გამოტანა, რამაც ამ გზით დაბადებული ბავშვების დისკრედიტაცია როზე, ვინ აფათურებს ხელებს საპატრიარქოში კონკრეტული მიზნების გასატარებლად.

„ალიას“ დაუკავშირდა სასულიერო პირი, რომელმაც ამ ეტაპზე ინკოგნიტოდ დარჩენა მივიტანოთ. მაშ ასე, რას ყვება ინკოგნიტო სასულიერო პირი და ვის ადანაშაულებს ის ეპისტოლეს გამო ატეხილ ხმაურში?

სასულიერო პირის თქმით, ეპისტოლე მომზადებულია



ქის დისკრედიტაციით, როგორც ერის სულიერი მამის, რომელიც დღეს საქართველოში ყველაზე დიდი ნდობის მანდატით სარგებლობს. რუსეთის ინჯანყოს, ისე, რომ რუსეთის პირდაპირი კვალი არ გამოიკვეთოს.

რუსეთის სპეცსამსახურები აქ რომ ლობიოს არ არჩევენ, ცხადია, მათ იციან ის კონკრეტული თემები, რაც საქართველოში გამოიწვევს არაერთგვაროვან რეაქციას, ევროპული გზის უარყოფას და ქვეყნის სულიერი მამის, პატრიარქის კრიტიკას. ამით რუსეთის სპეცსამსახურები ორ საქმეს აკეთებენ, ქართველ ხალხს აგრესიას უჩენენ ევროპული ოჯახის მიმართ და პატრიარქის დისკრედიტაციას ახდენენ, რათა შემდგომ მისი განცხადებები ნაკლებმისაღები გახდეს, ანუ „ძალადაკარგულად“ ჩაითვალოს.

ინკოგნიტო წყარო პირდაპირ აცხადებს, რომ ეს ხდება შორენა თეთრუაშვილისა და მღვდელ ხარაზიშვილის მეშვეობით, ეს უკანასკნელი რუსეთის სპეცსამსახურებს, „ნაციონალების“ დახმარებით გამოჭერილი და დაკომპრომეტირებული ჰყოლიათ არატრადიციული სექსის მიმდევრობაში, ანუ მამათმავლობაში, რაზეც წყაროს ცნობით, არსებობს ფარული ვიდეომასალები.

ინკოგნიტო რესპონდენტი „ალიას“ შორენას კავშირე-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

## სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებზე იმსჯელებენ



კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმის კონცეპტუალურ ცვლილებას, შემოდის მაქსიმალური ზღვარი დანაშაულის კატეგორიებისა და მიღებული/მისაღები შემოსავლის მიხედვით; უქმდება ჯარიმის დამატებითი სასჯელის სახით გამოყენების შესაძლებლობა, როცა ის არ არის გათვალისწინებული კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით; ასევე, არასრულწლოვანისთვის დაკისრებული ჯარიმის მშობლისთვის დაკისრების შესაძლებლობას. განსხვავებულადაა დარეგულირებული პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტი; მცირდება გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ზომა. მოსამართლეს ენიჭება უფლებამოსილება, დანიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი (საკანონმდებლო მინიმუმის ნახევრამდე) შემამსუბუქებელი გარემოებების ერთობლიობისას. ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება ნებისმიერი მსჯავრდადებულის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემცირებას. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასჯელაღსრულების თანამშრომელი პატრულის თვალწინ სცემეს




როგორც ცნობილი ხდება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელ გ.წ.-ს თავს დაესხნენ. ინციდენტი 2 იანვარს, მცხეთასთან მოხდა. თვითმხილველის ცნობით, გ.წ.-ს პატრულის თანამშრომლების თვალწინ დაესხნენ თავს.

„როგორც გავარკვიეთ, გ.წ. მანქანით, ფეხმძიმე მეუღლესთან და კიდევ ერთ ახლობელ ქალთან ერთად, მცხეთიდან თბილისისკენ მიდიოდა. გზად ორი ავტომანქანა შეხვდა, რომლებიც გზას არ უთმობდნენ. როგორც ვიცით, სპორტსმენები ისხდნენ ამ მანქანებში, საკმაოდ ბევრნი. რაღაც მომენტში გ.წ.-მ გადასწრება შეძლო. როგორც ჩანს, ამან გააღიზიანა ის ბიჭები და აედევნენ. ჟესტებით ემუქრებოდნენ. ბიჭს ორი ქალი ახლდა და როგორც ჩანს, ინციდენტს მოერიდა, ამიტომ როდესაც გზად საპატრულო ეკიპაჟი შეხვდა, მანქანა გააჩერა, პატრულს შემთხვევის შესახებ უამბო და რეაგირება სთხოვა. ამ დროს ერთ-ერთი ავტომანქანა წამოეწია, გადმოცვივდნენ ბიჭები და ცემა დაუწყეს. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, თვითონ პატრულმაც ვერ შეძლო უცებ გაშველება. ბიჭი ძალიან სცემეს, მოხვდა მის ფეხმძიმე მეუღლესაც, რომელიც დააგორეს, ასევე თანმხლებ ქალბატონს. საქმეში იქვე მდებარე რესტორნის დაცვის ბიჭები ჩაერთვნენ და ერთობლივი ძალებით გააშველეს. ის ბიჭი ძალიან იყო ნაცემი, მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო. მცხეთის საავადმყოფოში მოათავსეს. თავდამსხმელები ემუქრებოდნენ, არ გვიჩივლო, თორემ უარესს მიიღებო“, – ყვება თვითმხილველი.

ფაქტს შს სამინისტროშიც ადასტურებენ და აცხადებენ, რომ საქმე ცემის ფაქტზეა აღძრული, თავად მონაწილეები კი ხელწერილის საფუძველზე განთავისუფლდნენ. მათივე თქმით, ინციდენტის მონაწილეები სწორედ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააშველეს და ადგილზე დამატებითი ეკიპაჟიც იყო გამოძახებული. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# რეალურად, ვინ არის საშობაო ეპისტოლეს ავტორი



*მესამე გვერდიდან*

ბზეც უყვება. კერძოდ, ქალბატონი შორენა, ახლო კონტაქტზე ყოფილა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელთან, მიტროპოლიტ ილარიონთან, მის მოადგილესთან ნიკოლოზ ბალაშოვთან, კოლომენსკის მიტროპოლიტ იუვენალთან და ბიზნესმენ მიხეილ ხუბუტიასთან, რომელიც გახლავთ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე რუსეთში.

ვინ და რატომ აფინანსებს შორენა თეთრუაშვილს? ამ კითხვაზე ინკოგნიტო რესპონდენტი აცხადებს, რომ შორენას ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელი ვლადიმერ იაკუნინია, რუსეთის რკინიგზის („როსიისკიე ჟელეზნიე დოროგი“) დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ეს პიროვნება ასევე არის რუსული „ანდრია პირველწოდებულის ფონდის“ და „ეროვნული დიდების ცენტრის“ თავმჯდომარე, თუმცა ქალბატონ შორენას, როგორც ირკვევა, საქართველოშიც ჰყოლია დამფინანსებლები. მის მეგობრად სახელდება მანანა შარაშიძე. წყაროს ცნობით, მანანა შარაშიძე იყო „პოსეიდონის“ მფლობელი, რომელიც თბილისში ცნობილ „ბორდელად“ ითვლებოდა. მანანა შარაშიძეს თბილისში ამჟამად ეკუთვნის რამდენიმე სასტუმრო.

ინკოგნიტო წყარო გვიყვება, როგორ და როდის მოხდა შორენა თეთრუაშვილის „დავერბოვკება“ და რა მიზნებისთვის. „კაგებეს“ მიერ შორენას გადაბირება მომხდარა 70-იანი წლების ბოლოს. ქალბატონ შორენას ინციდენტი შემთხვევია, მანქანით ავარია მოახდინა, რის შედეგადაც დაიღუპა მისი მეგობარი. გადაბირება განახორციელა ადგილობრივმა „სუკ“-მა, თუმცა 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის დროს შორენას საქმე მოსკოვში გაიტანეს. „შორენა იძულებული გახდა, მათ ნებას დაჰყოლოდა და მისი რუსი მფარველების მიზნები განეხორციელებინა საპატრიარქოში, მოეხდინა პატრიარქის დისკრედიტაცია, საპატრიარქოში შეექმნა რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ მღვდელმსახურთა ერთობა, რომელსაც გამოიყენებენ თავისი მიზნების მისაღწევად... აი, რატომ აქვს ამდენი ძალაუფლება, ყოველგვარი ევროპულისა და ამერიკულის მტერია, ფანატიკოსი რუსეთუმე, ეროვნულობის ნიღაბს ამოფარებული ფაშისტი, საპატრიარქოს საბიუჯეტო კომიტეტის ფარული შეფი... მოკლედ, რუხი კარდინალია, ახლაც თავისი გააკეთა, მიზანს მიარწია და რუსეთის ინტერესებიც გაატარა, ესაა მწარე რეალობა და ზღვაში წვეთი, რაც შორენა თეთრუაშვილზე გელაპარაკეთ, თუკი შორენა თეთრუაშვილი გამოვა და დაგმობს ზემოთქმულს, გპირდებით, რომ მისი მხილებით დავკავდები და იმაზე მეტს გავშიფრავ თქვენთან საუბარში, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია...“



ინკოგნიტო წყაროს ეს ინფორმაციები დამაფიქრებელია. როგორც ჩანს, პატრიარქის გარშემო შეთქმულება და საპატრიარქოს კარის ინტრიგები ამით არ დასრულდება.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22





რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილს დაუპირისპირდა?

**რატომ მიიჭირხნა საქართველოს არჩეული პრეზიდენტი? რა ინციდენტი შეემთხვა მას ბიძინა ივანიშვილთან? რეალურად, დაიმუქრა თუ არა გადადგომით მარგველაშვილი? ვინ უშლის ხელს „ოცნების“ ხელისუფლებას რეფორმების განხორციელებაში?**

**„ალიას“ ესაუბრება პრემიერის ყოფილი მრჩეველი, მრავალ სკანდალში გახვეული, „რუხ კარდინალად“ წოდებული, ამჟამად ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომლის გარშემოც შეტევებისა და ბრალდებების ნიაღვარი არ წყდება.**

**— 2014 წლის ნიუსის ერთ-ერთი პირველი ავტორი თქვენ იყავით, ბრიფინგზე განაცხადეთ, რომ შეგაქვთ სარჩელი ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატ გაბუნიას წინააღმდეგ. ცნობილია, რომ თქვენ იცავთ პატარკაციშვილის ოჯახის ინტერესებს, რომელიც ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს ედავება პატარკაციშვილის 18 ქეისის მითვისებაში. გაბუნია თქვენ გადანაშაულებთ იმ მოლაპარაკების ფარულ ჩანწერაში, სადაც ჩხარტიშვილის ადვოკატის საშუალებით აღიარა, რომ მას პატარკაციშვილის ოჯახის ვალი მართებს. თქვენგან ახალ დეტალებს ველოდებით.**

– გაბუნია საერთოდ არ არის საინტერესო თემა, ის არ არის მთავარი პრობლემა ამ პროცესში. თუმცა, რადგან მისგან ადგილი ჰქონდა ცრუ დასმენას, მე, როგორც კანონმორჩილმა ადამიანმა შევიტანე სარჩელი პროკურატურაში. მეორე მხრივ, საჩივარი შევა ადვოკატთა ეთიკის კომისიაში და აუცილებლად მოვითხოვ გაბუნიასთვის საადვოკატო ლიცენზიის შეჩერებას. იმ მიზეზის გამო, რომ ის შეეცადა, ადვოკატთა ასოციაცია ჩაეთრია ძალიან ბინძურ პოლიტიკურ თამაშში, მე დავასაბუთებ, რატომ არის ეს ასე. გაბუნიაზე, „ალიაში“ გამოქვეყნებული კომენტარის შემდეგ აღარ ვაპირებ კომენტარის გაკეთებას, რადგან მთავარი პრობლემა გაბუნია კი არა, არიან ადამიანები, ვინც მთელი ამ კამპანიის უკან იდგა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ამ ყველაფერზე მაქვს უამრავი დამადასტურებელი ფაქტი. დღეს ამ ადამიანების გვარებს არ ვასახელებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წინ გველოდება სასამართლო პროცესი. მე მაქვს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ სისხლის სამართლებრივი დევნაც კი დაიწყოს ამ ყველაფერს ფარდა აეხდება.

მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ ვანო ჩხარტიშვილის პრობლემა არ და ამ კამპანიაში, რა მიზნით მიმდინარეობდა ის და როგორ ფინანსდებოდა ეს კამპანია. მიუხედავად თქვენი გაზე-



ადამიანებზე, თუ როგორ მოქმედებდნენ, რას აკეთებდნენ, ვისი მეშვეობით სჩადიოდნენ სიბინძურეებს და რის ფასად. მე არ მინდა ხმამაღალი განცხადებები ვაკეთო და ამ ყველაფერს პოლიტიკური კამპანიის სახე მივცე, ამიტომ ეს ყველაფერი გადამაქვს სამართლებრივ სფეროში და



არის პატარკაციშვილის ოჯახისთვის, ბადრის გარდაცვალების შემდეგ ბევრი ადამიანი შეეცადა, ეს ოჯახი „გაეწეწა“, მიმდინარეობს დავა ჩხარტიშვილსა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის კონკრეტულ ბიზნესაქტივებთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაზე სასაცილო ამ ვითარებაში ის არის, რომ ამ დავაში მე ჩავერთე კონკრეტულად ვანო ჩხარტიშვილის თხოვნით და არა, პატარკაციშვილის ოჯახის სურვილით. სხვათა შორის, თავიდანვე სკეპტიკურად ვუყურებდი რაიმე ტიპის მოლაპარაკებას მხარეებს შორის. მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩავები მოლაპარაკებაში და ამას მოჰყვა ეს უცნაურობები, იგივე გაბუნიასთან დაკავშირებით და კიდევ ბევრ სხვა რამეებთან დაკავშირებით. ახლა არ მინდა ფრჩხილების გახსნა, მაგრამ მაქვს ფაქტობრივი ინფორმაცია, რა ხდებოთის პატივისცემისა, მე დეტალებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ ერთი მიზეზის გამო, რომ არ მინდა ამას პოლიტიკური კამპანიის სახე მივცე.

**— გოგა ხაინდრავამ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ბიზნესმენმა ჩხარტიშვილმა დაიქირავა მსოფლიოში ცნობილი აუდიტი, რომელიც სწავლობდა ამ საქმეს, აუდიტმა ჩაატარა ერთგვარი გამოძიება და დაკითხა მათ შორის გოგა ხაინდრავა. თქვენთვის თუ არის ცნობილი დასკვნა?**

– ამ კომპანიასთან შეხვედრა მეც მქონდა, მათი დასკვნა მე არ მინახავს, თუმცა ჩემთვის ცნობილია, რომ მათ გააკეთეს დასკვნა და ჩემთვის არავის მოუწოდებია, რაც ძალიან გასაკვირია, თუ ვინმესთვის უნდა გადაეცათ, ალბათ, ერთ-ერთი მეც უნდა ვყოფილიყავი.

**— ახლა კი უფრო მნიშვნელოვან საკითხზე გადავიდეთ.**

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

## „ცე“ ჰეპატიტის მედიკამენტები 60%-ით გაიაფდება



„ცე“ ჰეპატიტით ინფიცირებული პაციენტებისთვის სამკურნალო მედიკამენტების შეძენა 60%-ით დაბალ ფასში იქნება შესაძლებელი.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს თქმით, პაციენტების რეგისტრაცია პირველი თებერვლიდან დაიწყება და მედიკამენტის დაბალ ფასში შესაძენად დაწესებულია კრიტერიუმები, რათა რეგიონისთვის მიმზიდველი ფასიდან გამომდინარე, მისი მარტივად გადაყიდვა არ მოხდეს. კერძოდ, მედიკამენტების შეძენა დაბალ ფასად შეეძლებათ მხოლოდ მათ, ვინც არის საქართველოს მოქალაქე, დროებით მცხოვრები, ვისაც აქვს დადასტურებული დიაგნოზი და დადასტურებული დანიშნულება.

სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის ინფორმაციით კი, გარდა იმისა, რომ „ცე“ ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტი 1 000 პატიმარს უფასოდ მიეწოდება, ასევე მოხდება 5 000 პატიმრის აცრა „ბე“ ჰეპატიტზე, 12 000 პატიმარს კი გამოკვლევა ჩაუტარდება. მისივე ინფორმაციით, „ცე“ ჰეპატიტის 48-კვირიანი კურსის ჩატარება მოქალაქეებს 13 000 დოლარი უჯდებოდათ მაშინ, როდესაც ახლა მკურნალობა 4 000 დოლარზე ოდნავ მეტი დაუჯდებათ.

ინფორმაცია ბენეფიციართა რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის, მედიკამენტის ფასის, შესყიდვის ვადებისა და ადგილის შესახებ ხელმისაწვდომია სამინისტროს ვებ-გვერდზე **WWW.MOH.GOV.GE.** ასევე ცხელ ხაზზე 15-05. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უმაღლესების ავტონომიურობა გაიზრდება



უმაღლეს სასწავლებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი დამოუკიდებლად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე განსაზღვრონ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის გაზრდის მიზნით, ამ და კიდევ სხვა სიახლეებს ითვალისწინებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონებში დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს უკვე წარუდგინა.

პროექტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბდნენ, უფლებამოსილნი ხდებიან, განახორციელონ: საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, საგამომცემლო საქმიანობა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება, სამეცნიერო-კვლევითი და ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის წარმოება და რეალიზება, დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს გამარტივებული შესყიდვის წესით ლიტერატურის (ბეჭდურის, ელექტრონულ ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულის), რეაქტივების, კომპიუტერული პროგრამების, ფარმაცევტული პროდუქტის, ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მონაცემთა ბაზების შეძენის შესაძლებლობა ეძლევათ. (ინტერპრესნიუსი)

## უგულავასა და კეზერაშვილის საქმე 15 იანვარს გაგრძელდება



გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმის განხილვა თბილისში საქალაქო სასამართლოში 15 იანვარს გაგრძელდება. 9 იანვრის პროცესზე ბრალდების მხარის ორი მოწმე დაიკითხა.

„აღნიშნულ მოწმეებს უგულავას წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენება არ მიუციათ. მათ მისცეს იგივე ჩვენება, რაც გამოძიებისთვის აქვთ მიცემული. მათ არაფერი იციან. „თბილსერვის ჯგუფთან“ დაკავშირებული მოწმეების დაკითხვა უახლოეს მომავალში დასრულდება“, – აცხადებს ადვოკატი გოგიტა გაბაიძე. (ინტერპრესნიუსი)

# ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილს დაუპირისპირდა?

*მეხუთე გვერდიდან*

**თქვენ ბრძანდებით პრეზიდენტ მარგველაშვილის მეგობარი და ყოფილი მრჩეველი. მის ირგვლივ ვრცელდება არასასიამოვნო ინფორმაციები. მაგალითად, ბოლო ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილისგან მარგველაშვილმა საყვედური მიიღო, დაპირისპირების მიზეზი მოწმის დაკითხვის ახალი წესის გადავადება გამხდარა. მარგველაშვილი ლობირებდა ამ კანონპროექტის ამოქმედებას და კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა ამ კანონპროექტის ორი წლით გადავადების, ასაბუთებდა, რომ საზოგადოებაში ეს დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამ ინიციატივას ივანიშვილი აღუშფოთებია და პრეზიდენტს უპასუხისმგებლო უწოდაო. მაშ ასე, გაებუტა თუ არა მარგველაშვილი ექსპრემიერს, გაიქცა თუ არა დუშეთში და აპირებდა თუ არა რეალურად გადადგომას? რამდენად რეალურია, რომ გუნდის შიგნით პრეზიდენტს ავიწროებენ და მიჭირხნული ჰყავთ?**

– მე არ ვფიქრობ, რომ რაიმე დრამატული ხდება, აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის არსებობს. სიმართლე გითხრათ, გიორგი დიდი ხანია არ მინახავს, დეტალები არ ვიცი, თქვენ კარგად იცით, რომ ჩემსა და ბიძინა ივანიშვილის შესახებაც ბევრი ლეგენდა დადიოდა, შეიძლება რაიმე კამათი მართლაც მოხდა, მაგრამ თემის დრამატიზება და იმის თქმა, რომ გადადგომას აპირებდა, შორსმიმავალი ფანტაზიებია. ამ დღეებში შევეცდები გიორგის ნახვას და უფრო მეტს გავარკვევ, რა ხდება მის გარშემო. თუ ჩემი დამოკიდებულება გაინტერესებთ პიროვნულად, არასასიამოვნოა, როცა ვალდებულებები გაქვს აღებული და იმას ვერ ასრულებ. არასასიამოვნოა, როცა გარკვეული გადაწყვეტილებების გადავადება ხდება, მაშინ, როცა არსებობს უფრო მაღალი სახელმწიფო ინტერესი. სიმართლე გითხრათ, მეც კრიტიკულად ვუყურებ მოწმის დაკითხვის ახალი წესის გადავადებას, რადგან ადამიანის თავისუფლებისა და მის დაცვაზე მაღალი ინტერესი არ შეიძლება არსებობდეს.

— **პრეზიდენტი რითია დაკავებული, რატომ არ ჩნდება აქტიურად, ის ხომ ხალხის მიერ არჩეულია და არა პარლამენტის. აი, მაგალითად, რეგიონებში მისი ვიზუალი ხალხს დაავიწყდა. კალენდრები მაინც დაარიგონ მარგველაშვილის სურათით.**

– არცთუ ისე დიდი ხანია, რაც პრეზიდენტი ავირჩიეთ, მით უმეტეს, კონსტიტუცია შეიცვალა. ახალ პრეზიდენტს განსხვავებული ფუნქციები აქვს, მისი უფლებები შეზღუდულია, ჩვენ შეჩვეული ვართ სხვა მმართველობას, გიორგი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. ყოველდღიურ მენეჯმენტში მას ფუნქცია არა აქვს, ის რომ იყოს პოპულისტი, უფრო ხშირად ვიხილავდით ეკრანებზე, გარდა ამისა, ტრანსფორმაცია გარკვეულ მოსამზადებელ პერიოდს მოითხოვს, სამი თვე მაინც უნდა გავიდეს, რომ ახალ პრეზიდენტზე შეფასებები გავაკეთოთ. მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ ის არის თავისი ქვეყნის მოყვარული ადამიანი, პრინციპული. თუნდაც ის, რა ხმებიც მასზე დადის, მეტყველებს, რომ არ არის მარტივად სამართავი. მას შეუძლია საკუთარი თავის პრინციპულად დაცვა, ჩვენ ვიხილავთ გიორგის ნამდვილი პრეზიდენტის ამპლუაში, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია, ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ მას ვნახავთ თავდადებული პრეზიდენტის როლში. თქვენ ამბობთ, რომ მოსახლეობას დაავიწყდა, როგორ გამოიყურება პრეზიდენტი, ეგ არ არის პრობლემა, პრეზიდენტის გახსენება ერთ დღეში შეიძლება, ამ ტექნოლოგიას თქვენ კარგად იცნობთ. მან მიულოცა მოსახლეობას ახალი წელი და განცხადებების კეთება მისი საქმე არ არის. ყველა თემაზე მისი მხრიდან კომენტარები არ იქნებოდა მაინცდამაინც სწორი, თუმცა ფუნდამენტურ საკითხებზე მე ვფიქრობ, ის უახლოეს პერიოდში განცხადებებს გააკეთებს.

— **უშიშროების საბჭოს მდივნის, ირინე იმერლიშვილის 75 ათას ლარად ნაყიდი ჯიპის „გაპრავება“ პრეზიდენტის მხრიდან ფუნდამენტური საკითხი იყო? მან თქვა, რომ ეს არ არის ფუფუნების საგანი. 75 ათასი ლარი მოსახლეობის 90 პროცენტს ერთად არ უნახავს. ვერ გავიგეთ, დაგვცინიან? გერმანიის კანცლერი 10 ათას ევროზე ძვირი ღირებულების მანქანით არ დადის, მაშინ, როცა ქართველი ჩინოვნიკების მანქანის ფასი იწყება 75 ათასიდან და მთავრდება 175 ათასით. მე, როგორც ამომრჩეველს, მრცხვენია, რომ ასეთი ხარბი ჩინოვნიკები გვყავს...**

– მანქანების თემა ძალიან პოპულარულია ახალ ხელისუფლებაში, იგივე განათლების მინისტრის მანქანა, პროკურატურის მიერ შეძენილი მანქანა, რომელიც 175 ათასი ლარი ღირს, ბუნებრივია, ეს საზოგადოების კრიტიკას გამოიწვევს. ირინე იმერლიშვილზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან არ ვიცი, რამდენად აუცილებელი იყო ასეთი ძვირადღირებული მანქანის შეძენა. ასეთი შეცდომები იქნება, მაგრამ მთავარია, რომ შეცდომები გამოსწორდეს. მე შემიძლია გითხრათ გიორგი მარგველაშვილზე, მან ისე დაიწყო საპრეზიდენტო კამპანია, მძღოლი არ ჰყოლია, თვითონ იჯდა საჭესთან. კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მძღოლი აეყვანა, სანამ არ აიძულეს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მანამდე მას მძღოლის საშუალებით არ უვლია. დღეს გიორგი სახლიდან სამსახურამდე ფეხით დადის... ეს თემა გიორგისთან სასაყვედურო არ არის.

— **სად არის ბიძინა ივანიშვილის დაპირებული პოლიტიკური კალენდარი?.. 2014 წელიც მოვიდა, მაგრამ ქვეყანა უფრო დიდ ეკონომიკურ კრიზისშია. ტოტალური უმუშევრობის ფონზე ნეპოტიზმმა სისტემური სახე მიიღო, პოსტებზე ინიშნებიან მხოლოდ ხელისუფლების წევრთა ახლო ნათესავები, რას ამბობს ამ ყველაფერზე ივანიშვილი და რატომ დუმს იგი?.. არ საყვედურობს მის ჩინოვნიკებს, „დაასტოპონ“ სიმდიდრისკენ სწრაფვა?**

– ასეთ ქვეყანაში არასწორია საკუთარ კომფორტზე ზრუნვა, გამდიდრების ტენდენციებს მე ვერ ვხედავ, უფრო სწორია ვთქვათ, საკუთარი კომფორტისთვის ისწრაფვიან მაღალჩინოსნები. რაც შეეხება ეკონომიკურ კრიზისს, გავიზიარებ თქვენს მოსაზრებას, ხელისუფლებას არ აქვს დიდი დრო ამ მხრივ, რადგან სოციალური რისკები იზრდება და კრიტიკული მასა თუ აიკრიფება, მერე უკვე დომინოს პრინციპს მივიღებთ. წაიქცა ერთი და მას მიჰყვება ვერტიკალში ყველა სხვა დანარჩენი. ხელისუფლებამ სისტემური ნაბიჯები უნდა გადადგას და უნდა გააჩინოს ოპტიმიზმის მუხტი, მან უნდა დაიწყოს სამუშაო ადგილების შექმნა, ამისთვის ბევრი დრო არ არის. პირდაპირ გეტყვით, ადგილობრივ არჩევნებამდე თუ ხელისუფლებამ რეალური შედეგები არ აჩვენა, მაშინ ჩვენ შეიძლება გარკვეულ სიურპრიზებს ველოდეთ ამ არჩევნებზე. მე მაინც ვფიქრობ, რომ გარკვეული შედეგები აუცილებლად დაიდება.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ის აპირებს საზოგადოებრივ სექტორში გააქტიურებას, მან აიღო სამი თვე ტაიმაუტი, იგი არის ერთადერთი ლეგიტიმური ფიგურა საქართველოში, მისი მთავარი ამოცანაა საქართველოს სამოქალაქო სექტორში გადასვლა, რაც გულისხმობს მთავრობასთან ოპონირებას. ჩემი აზრით, ივანიშვილისთვის ყველაზე დიდი სირთულე იქნება ხელისუფლებისგან დისტანცირება და ჯანსაღი პოზიტიური, მაგრამ მაინც კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების ნაბიჯებისადმი. ამ პოზიციაში დადგომა მისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, თუმცა ეს არის ადამიანი, რომელმაც უზარმაზარი ამოცანები გადაჭრა და არც ეს გაუჭირდება. თუმცა კითხვის ნიშნები არის და ამ კითხვებსაც გაეცემა პასუხები.





ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტი საპატრიარქოსთან მომხდარ ინციდენტს ეხმაურება



გიორგი მარგველაშვილი მომხდარის გამო სინანულს გამოთქვამს და ყველას მოუწოდებს, ოპონენტთა მიერ აზრის გამოხატვის კონსტიტუციურ უფლებას პატივისცემით მოეკიდონ.

„ღირსეული, თავისუფალი ადამიანების საზოგადოებაში სრულიად გაუმართლებელია ძალადობა ნებისმიერი საბაბით. ეს არის ჩვენი ხელისუფლების ურყევი ნება. ეს არაერთხელ ხაზგასმით უთქვამს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც. საქართველო ისტორიულად შემწყნარებლობის, განსხვავებულისადმი პატივისცემის ქვეყანაა. სწორედ ამან შეგვანარჩუნებინა ის მრავალფეროვნება, რომლითაც სამართლიანად ვიწონებთ თავს. ჩვენი ქვეყნის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული მრავალფეროვნება არის და ყოველთვის უნდა იყოს ამოუწურავი რესურსი დიალოგისა და თანამშრომლობისთვის და არა – დაპირისპირებისთვის. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, პატივისცემით მოეკიდონ ოპონენტთა მიერ აზრის გამოხატვის კონსტიტუციურ უფლებას. რამდენადაც მიუღებელი არ უნდა იყოს ვინმესთვის ეს აზრები, გამოხატვის უფლება ხელშეუხებელია“, – ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში. (პირველი)

## თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა იწყება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული ჩინური კომპანია „სინოჰიდრო კორპორეიშენ ლიმიტედი“ განახორციელებს. მისი თქმით, სამუშაოები 1 და მე-3 მონაკვეთებზე დაიწყება, ხოლო მე-2 მონაკვეთზე დეტალური პროექტის მომზადება დასრულებულია და გადაგზავნილია დონორ ორგანიზაციასთან, ანუ აზიის განვითარების ბანკთან.

„დონორის თანხმობის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი. რაც შეეხება 1 და მე-3 მონაკვეთების ბიუჯეტს, ის 88 761 128 ლარს შეადგენს“. – აღნიშნა მინისტრმა.

ცნობისთვის, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალი კომპანია „ნიუ ენერჯის“ უნდა აეშენებინა, მაგრამ 2013 წელს ახალი მთავრობის პირობებში რეგიონული განვითარების სამინისტრომ შიდა მოკვლევა ჩაატარა და აღნიშნული ავტომაგისტრალის მშენებლობაში ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის დავით კირკიტაძის ინტერესებზე ალაპარაკდა, ხოლო შესაბამისი დოკუმენტაცია პროკურატურას გადაუგზავნა. (ფრონტნიუსი)

# გენერალური შეტევა პატრიარქის წინააღმდეგ

**ბოლო დღეებში საპატრიარქოსა და პატრიარქზე ინტენსიური შეტევა მიმდინარეობს. მისი უწმინდესობის საშობაო ეპისტოლემ არასამთავრობოებსა და „ლიბერასტებს“ საშუალება მისცა, კიდევ ერთხელ გამოეჩინათ საკუთარი სახეები. არის თუ არა ეს ყველაფერი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული და მცდელობა ქართული ეკლესიის დანგრევისა?**



**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება.**

**— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, რა მოხდა, რატომ წავიდა თავად საპატრიარქო ამ წამგებიან თემაზე და რატომ მისცა საშუალება კოსმოპოლიტებს, რომ ერთი ამბავი აეტეხათ?**

– როგორც ჩანს, პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობას ზოგიერთი არცთუ მთლად ქრისტეს მოძღვრების პრინციპებით იყენებს. მე ვსაუბრობ მისი უწმინდესობის გარემოცვაზე. ბოლო დღეებში თვალი მოვკარი იმ მოსაზრებასაც, რომ პატრიარქს მართავს მისი მდივანი შორენა თეთრუაშვილი. არადა, აქ თეთრუაშვილი არაფერ შუაშია. სამწუხაროდ, ჩვენში ეს ყველაფერი პოლიტიკად გადაიქცა. სანამ პატრიარქი მტკიცედ მართავდა ეკლესიას, მაშინ ასეთი რაღაცები არ ხდებოდა. თუმცა, ჩემი აზრით, ეს მაინც არ არის მთავარი. ძალა, რომელიც საპატრიარქოს უტევს, ჯერ მაინც ვერ ბედავს, ღიად გამოვიდეს და ასევე, ღიად გამოაცხადოს ომი. ამ ძალას ჰყავს დაქირავებული ჯგუფები კლაკერების სახით, რომლებსაც ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაციებს ვუწოდებთ. აი, ესენი ახმოვანებენ თავიანთი უფროსებისა და სპონსორების პოზიციებს.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ შეტევა საპატრიარქოზე ქვეყნის გარედან მიმდინარეობს?**

– რასაკვირველია, ეს ყველაფერი ხდება გარედან. ერთ მომენტს მიაქციეთ ყურადღება, დღეს ჩვენში მომრავლდნენ არა მხოლოდ ფსევდოექსპერტები, არამედ ფსევდოთეოლოგებიც. მე დიპლომატიურ აკადემიაში თეოლოგიას ვასწავლიდი მთელი 20 წლის განმავლობაში, ამიტომ კარგად ვიცნობ ამ სფეროს სპეციალისტებს. იყო ცნობილი პროფესორი დათო გაგოშიძე, გურამ ფანჯიკიძის ძმა – თემურ ფანჯიკიძე და სხვები... ეს ადამიანები ჩემთან ლექციებს კითხულობდნენ და მათ პოზიციებსაც კარგად ვიცნობ. ბოლოს უცებ გაჩნდნენ ისეთი თეოლოგები, რომლებსაც ორი წიგნი არ წაუკითხავთ. ხაზგასმით აღვნიშნავ, – საქართველოში მეცნიერული კვლევა ჩაანაცვლეს არასამთავრობოებმა, რომელთა ხელმძღვანელებსაც დამოუკიდებლად ერთი სტატია არ დაუწერიათ, აღარაფერს ვამბობ წიგნების გამოცემაწაკითხვაზე.

**— ესენი მხოლოდ პროექტებს წერენ და გრანტებს იღებენ.**

– დიახ, პროექტებს წერენ „კალკის“ პრინციპით... ესენი თავიანთ იდეებსა და აზრებს კი არ აფრქვევენ, ამათ მშვენივრად იციან, რომელი პროექტი მიიღებს გრანტს, ჩამოწერენ რაღაცას, ვინც გრანტებს არიგებს, იმათაც კარგად იციან, ვის უნდა მისცენ და მორჩა... სხვათა შორის, ჩვენთან ყველაფერი წინასწარ იციან. მაგალითად, ორი დღის წინ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ვაკანსია მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი წევრის თანამდებობაზე. ერთი ადგილი მიუციათ პრეზიდენტისთვის და ამანაც გამოაქვეყნა. იქ ჩამოთვლილია პირობები, მაგრამ არაოფიციალურად, ადმინისტრაციიდან უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ნეტარმორწმუნე გულუბრყვილონი ტყუილად თავს ნუ შეიწუხებენ, იქ უკვე იციან, ვისთვის არის გამზადებული ეს ადგილი.

**— მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ ხდება ასე, მთელი ქვეყნის მასშტაბით ცხადდება კონკურსები, მაგრამ წინასწარ იციან, ვინ გაიმარჯვებს.**

– დღეს სამინისტროებში კონკურსები ან არ ცხადდება, ან კიდევ ცხადდება ფორმალურად. ჩვენ აშკარად ვხედავთ, ხალხი როგორ ინიშნება ამა თუ იმ თანამდებობაზე. მოდით, გავადევნოთ თვალი პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიას, უნდა გქონდეს 10 წლის სამუშაო სტაჟი, აქედან სამი წელი წამყვან თანამდებობაზე, უნდა იყო მაგისტრი, ან მაგისტრთან გათანაბრებული სტატუსის მქონე. ჯერ ერთი, ეს გაუგებარია, რას ნიშნავს მაგისტრთან გათანაბრებული? ეს იგივეს ნიშნავს, რომ ან უნდა იყო დოქტორი, ან მასთან გათანაბრებული. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. დავუბრუნდეთ საპატრიარქოს თემას, დღეს მისი უწმინდესობის წინააღმდეგ მიმდინარეობს გენერალური შეტევა.



**— ეს გენერალური შეტევაა, თუ რეპეტიცია?**

– არა, ეს შეტევაა... გენერალური რეპეტიცია დაიწყო მაშინ, როცა გიგა ბოკერია თავის ამფსონებთან ერთად ქუჩაში დარბოდა და მას პერანგს ახევდნენ. იმ პერიოდში გამოჩნდნენ ოდიოზური პიროვნებები, რომლებიც ბოკერიას ქვებს უშენდნენ...

**— ბატონო სოსო, თუ შეიძლება ამიხსენით, ქვეყნის გარეთ ვის ინტერესებშია ქართული ეკლესიის დაშლა და განადგურება?**

– ამას ჩემი საინფორმაციო ბანკის შესაძლებლობებიც კი არ ჰყოფნის. ამ სფეროში ბევრი რამ მკაცრად არის გასაიდუმლოებული. აქ ისეთი წარმატებით მუშაობს ჭორის, სიმართლის, მოგონილის, მეცნიერულად დაგეგმილი პროგრამები, რომ ვერ გაარკვევ, საიდან იწყება ეს ყველაფერი. ალბათ, გახსოვს, „გეი-პარადის“ ამბავი... მაშინ, როცა ქვეყანაში ათასობით ადამიანი შიმშილობს, ამდენი ხალხი გადაგდებულია ბანკების მიერ, უამრავმა ადამიანმა ბინა დაკარგა, არასამთავრობო ორგანიზაციები ხმას არ იღებენ და როგორც კი „პარადის“ მსვლელობას რამდენიმე ადამიანმა ხელი შეუშალა, მაშინვე ატეხეს სკანდალი. ჩვენ ისიც არ ვიცით, წინააღმდეგობის გამწევნი ისევ მაგათიანები იყვნენ თუ არა. შენ როგორ ფიქრობ, ყველამ თავისი შინაგანი რწმენის მიხედვით ატეხა სკანდალი?.. არასამთავრობოები უბრალოდ, ამართლებდნენ თავიანთ გრანტებს.

მე ერთი რამე მაინტერესებს, მთელი ცხოვრება ვმსახურობ, ვარ პროფესორი, ჩემი მეუღლეც პროფესორია და თვიდან თვემდე ძლივს გამაქვს თავი. ეს არასამთავრობოები საიდან იღებენ იმდენ ფულს, რა შემოსავალი აქვთ ამისთანა, რომ ჩემზე კარგი მანქანებითაც დადიან, ჩემზე კარგი სახ-

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დანაშაულებათა სტატისტიკა



შინაგან საქმეთა სამინისტრო გასული 2013 სრული კალენდარული წლის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. მონაცემები კრიმინოგენურ მდგომარეობას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონების მიხედვით ასახავს. შსს-ს ინფორმაციით, 2013 წელს, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, დანაშაულის 10036 ერთეულით კლება დაფიქსირდა, რაც 25,7%-ს შეადგენს, გახსნის მაჩვენებელმა კი 40,9%-ით მოიმატა და 59,9%-ს შეადგენს. 2013 წლის დეკემბერში ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 1470 ერთეულით იკლო, რაც 36,9%-ია, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 27,4%-ით მოიმატა და 50,2%-ს შეადგენს.

2013 წელს ქვეყნის მასშტაბით 28970 დანაშაული მოხდა, საიდანაც გახსნილია 17 339 და გახსნის მაჩვენებელმა 59,9% შეადგინა. გასულ წელს თბილისში 14 033 დანაშაული მოხდა, საიდანაც გახსნილია 6494. გახსნის მაჩვენებელმა დედაქალაქში 46,3 პროცენტი შეადგინა.

იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში 2013 წელს 2811 დანაშაული მოხდა. გახსნილია 2288 (81,4%) დანაშაული.

ქვემო ქართლში გასულ წლის დანაშაულის რაოდენობამ მთლიანობაში 1983 შეადგინა, გახსნის მაჩვენებელმა კი 61% შეადგინა.

სამეგრელო-ზემო სვანეთში 2013 წელს 1521 დანაშაული მოხდა, საიდანაც გახსნილია 1102 (72,5%).

აჭარაში გასულ წელს ჩადენილი დანაშაულის რაოდენობამ 2947 შეადგინა, გახსნის მაჩვენებელი 66,5%-ია.

შიდა ქართლში 2013 წელს 1395 დანაშაული მოხდა. აქედან გახსნილია 997.

კახეთში გასულ წელს 2012 დანაშაული მოხდა, საიდანაც 1704 გაიხსნა.

მცხეთა-მთიანეთში 2013 წელს 844 დანაშაული მოხდა, რომლის 70,6% გახსნილია.

გურიაში 2013 წელს 619 დანაშაული მოხდა, საიდანაც გახსნილია 353 (57%).

სამცხე-ჯავახეთში 2013 წელს 796 დანაშაული მოხდა, გახსნის მაჩვენებელმა კი 79,9% შეადგინა.

2013 წლის დეკემბერში ქვეყნის მასშტაბით 2511 დანაშაული მოხდა, საიდანაც 1260 (50,2%) გახსნილია. 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დანაშაულის მაჩვენებელმა 36.9%-ით იკლო, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 24,4%-ით იმატა. (ინტერპრესნიუსი)

## კოდექსში პრინციპული ცვლილებები აღარ შევა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, დოკუმენტთან დაკავშირებით საჯარო განხილვა და დებატები აღარ გაიმართება და ის იანვრის ბოლოს უნდა იქნას მიღებული.



„რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ და ეს მაქსიმალურად დახვეწილი დოკუმენტია. ჩვენ ბევრ დათმობაზე წავედით. ახლა პარლამენტში კოდექსის მუხლობრივი განხილვა დაიწყება და სესიებზე დეპუტატები განიხილავენ", – განაცხადა ნარმანიამ.

რაც შეეხება თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს, ნარმანიას შეფასებით: „ოპონენტების ცალკეული განცხადებები პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ემსახურება და ზოგიერთ მათგანს შესაძლოა, დოკუმენტი ბოლომდე წაკითხულიც არ ჰქონდეს", – აღნიშნა მინისტრმა. ამასთანავე, როგორც ნარმანიამ განმარტა, მას შემდეგ, რაც საარჩევნო კანონმდებლობით საჭირო იქნება მის მიერ თანამდებობის დატოვება, რათა თვითმმართველობის არჩევნებამდე წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთოს, ის ამ ნაბიჯს კანონით განსაზღვრულ ვადებში გადადგამს. „როცა კანონით აღარ იქნება ნებადართული, მე თანამდებობას დავტოვებ. რაც შეეხება ჩემს შემცვლელს, ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრთან იქნება მსჯელობა, რის შემდეგაც უკვე კანდიდატი დასახელდება, თუმცა ჯერ ადრეა", – განაცხადა ნარმანიამ. ცნობისთვის, თვითმმართველობის არჩევნები მიმდინარე წლის მაისის ბოლოს ან ივნისის პირველ ნახევარში ჩატარდება. (პირველი)

# გენერალური შეტევა პატრიარქის წინააღმდეგ

მეშვიდე გვერდიდან



ლებიც აქვთ, უცხოეთშიც ისვენებენ და არაფერს არ იკლებენ... დღეს საქართველოში 200-მდე არასამთავრობოა, შეხედავ და ყველა „ნაპატიებია", არიან ჩაპუტკუნებულები და კარგად ჩაცმულები. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ დავადგეთ რუსეთის გზას და როგორც პუტინმა აკრძალა გრანტები, ჩვენც ავკრძალოთ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, ვინ რას აკეთებს და ვინ საიდან ფინანსდება. ამ დღეებში ვუსმინე ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ საუბრებს. ეკლესიის წარმომადგენლები ცდილობდნენ, ნორმალურად აეხსნათ მოსახლეობისთვის, რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არასამთავრობოების წარმომადგენლები აზრზე არ იყვნენ, რაზე საუბრობდნენ.

**— სხვათა შორის, ერთმა ისიც კი თქვა, თავად იესო ქრისტე სუროგაციის შედეგად დაიბადა, სინჯარაში გამოიყვანესო.**

– ჩვენი ერი არის რელიგიურად ანგაჟირებული, სასულიერო პირებმა ნორმალურად განმარტეს, რომ იგივე სუროგაციის გზით ჩასახულ ბავშვს, არავინ არაფერს ერჩის, მასაც ჩვეულებრივი უფლებები აქვს, მაგრამ პატრიარქს არა აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი?!. მე ვხედავ, რომ პატრიარქის გარდა, საქართველოში ყველას აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება. გასაგებია, მისი უწმინდესობის აზრს უფრო მეტი წონა აქვს, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ლიდერისას, მაგრამ ეს ვისი დანაშაულია?!. ჩვენ გვყავს ისეთი საზოგადოება, როგორიც გვყავს, რაც ვართ, ეს ვართ. ვისაც საპატრიარქოს დამოკიდებულება არ მოსწონს, იზრუნოს იმაზე, რომ ნორმალური ახსნა-განმარტებით საზოგადოება თავის აზრზე გადაიყვანოს. პატრიარქს არც საკანონმდებლო უფლება აქვს, არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ერევა და ის ვერც კანონს გამოსცემს, მას აქვს მხოლოდ სიტყვის უფლება.

**— სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ბევრს ჰგონია, რომ პატრიარქის სიტყვა არის მშრალი კანონი...**

– თუ პატრიარქის სიტყვა კანონია, მაშინ ეს არის მისი დამსახურება. ეს ყველაფერი გამომდინარეობს ნდობის ხარისხიდან. შეიძლება დღეს ბევრმა არ იცის, მაგრამ მე მახსოვს, როგორ იხვეჭდა მისი უწმინდესობა ავტორიტეტს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ჩემი გვარის წარმომადგენლები სულ რელიგიის მსახურები იყვნენ, კალისტრატე ცინცაძიდან დაწყებული და ახლო ურთიერთობა მქონდა სამღვდელოებასთან. მშვენივრად მახსოვს რა იყო ქართული ეკლესია კალისტრატედან ილიამდე – „კაგებეს" აგენტების გარემოცვა, სამღვდელოებაში ათასი ჯურის აგენტის შეგზავნა, საპატრიარქოს მიმართ დარტყმები და სახელის გატეხა. იმ პერიოდში „კაგებე" თავისი დახვეწილი იეზუიტური მეთოდებით ებრძოდა ეკლესიას და ახდენდა გავლენას.



ახლა მეთოდები ცოტა შეცვლილია, უბრალოდ, „კაგებე" შეცვალა კლაკერულმა, ანუ არასამთავრობო სისტემამ, მიზანი ერთი და იგივეა. როგორც ჩანს, საგარეო პოლიტიკის კურსის გატარებაში ზოგიერთს ხელს უშლის საპატრიარქო, თუმცა აქ არის ერთი და მთავარი თუ ჰგონია, რომ ევროკავშირი თავის ინსპექტორებს გამოგვიგზავნის, რათა რუსთაველზე წესიერად ვიმოძრაოთ, ძალიან ცდება.

ახლა გეტყვი ერთ მაგალითს, – ფოთის მუნიციპალიტეტმა საახალწლოდ თავის თანამშრომლებზე გამოწერა პრემიები, ეს თანხა შეადგენს 600 ათას ლარს, ამ დროს, ფოთს გარღვევა აქვს ბიუჯეტში, ზუსტად 600 ათასი ლარი. ახლა გეკითხები, ეს არის ევროპული კურსი?!. ამ გადამწყვეტი მომენტი, ჩვენ დღეს ევროპისკენ მხოლოდ დეკლარაციებით მივდივართ. ნამდვილი ევროპული კურსის ერთგულები საქართველოში ძალიან ცოტანი არიან. დეკლარაციით ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ზოგს ყველაფრის თაობაზე მე არ მომისმენია არც ერთი პარლამენტარის კომენტარი, იგივე ჯიპების თაობაზეც ჟურნალისტებმა ატეხეთ ერთი ამბავი, თორემ ხმას არავინ ამოიღებდა. რომელი ევროპული კურსია, როცა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთო ბერიძე ისევ თავის თანამდებობაზეა. როდესაც ჯიპის სკანდალი ატყდა, კაცმა მოწყალების თვალით გადმოგვხედა და გვითხრა, – კარგი, ბატონო, თუ თქვენ ასე ფიქრობთ, მე თავს შევიკავებ, ძვირადღირებულ ჯიპში აღარ ჩავჯდებიო. აქეთ გვამადლის, რომ ჩვენი ჯიბიდან ამოღებულ ფულს აღარ დახარჯავს, არადა, ამ ადამიანმა ისიც კი არ იცის, რომ მზიან ამინდში შავ ქოლგას არ ხმარობენ...

**— დაბოლოს, ბატონო სოსო, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საპატრიარქოს წინააღმდეგ დაწყებულ შეტევას?**

– ამას მოჰყვება ის შედეგები, რაც მოჰყვა „კაგებეს" მოქმედებას...

**— „კაგებეს" მოქმედებას და საბჭოთა იდეოლოგიას მოჰყვა „ესესერის" დაშლა...**

– ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო დაიშალოს, მაგრამ თუ „ნაციონალური მოძრაობა" და შეთქმულთა არასამთავრობო ორგანიზაციები დაიშლება, ეს ძალიან კარგი იქნება.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მთავრობა გადამხდელების საიდუმლოებებში ქექვას აპირებს



საქართველოს მთავრობამ პარლამენტს საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული მუხლის შეცვლის ინიციატივით მიმართა და განსახილველად წარედგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ან გადასახადის გადამხდელის თანხმობის გარეშე გადასცეს მთავრობას, ყველა სამინისტროს, სამართალდამცავ ორგანოს, სახალხო დამცველს, და სხვა, კანონით დადგენილ სუბიექტებს, რაც, პროექტის მიხედვით, „კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის" შეიძლება მოხდეს.

„საგადასახადო კოდექსი" სადღეისოდ არ ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოს მხრიდან საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცემას ზოგადად, „საქართველოს მთავრობაზე", „საქართველოს სამინისტროზე", როგორც ეს პარლამენტში ინიცირებულ პროექტში წერია.

მოქმედი კანონი მიუთითებს, რა შემთხვევაში, რა მიზნებით შეიძლება მოხდეს საგადასახადო საიდუმლოს გაცემა. მაგალითად, მოქმედი კანონის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წევრებს – ამ პირთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით; სამართალდამცავ ორგანოებს "მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით; სასამართლოს – სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით, აღსრულების ეროვნულ ბიუროს – კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში და ასე შემდეგ. საკითხის განხილვას პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე დაიწყებს. (ინტერპრესნიუსი)

## აზერბაიჯანი საკუთარი წარმოების ბენზინს აღარ გვაწვდის



დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველად აზერბაიჯანმა საქართველოში საკუთარი წარმოების ბენზინის ექსპორტი შეწყვიტა. „სოკარის" გენერალური დირექტორის მაირ მამედოვის განცხადებით, კომპანია საწვავს რუმინული „რომპეტროლისგან" ყიდულობს. ამის მიზეზად მამედოვი იმ ფაქტს ასახელებს, რომ ბოლო პერიოდში აზერბაიჯანს ბენზინის ექსპორტის რესურსი არ გააჩნია და ადგილობრივი სახელმწიფო ნავთობკომპანია ბენზინს მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის აწარმოებს. ამასთანავე, მამედოვის განცხადებით, რუმინულმა ბენზინმა ქართული ბაზრიდან აზერბაიჯანული ბენზინი გააძევა. მისი ინფორმაციით, გასულ წელს კომპანიამ „რომპეტროლისგან" 80-90 ათასი ტონა ბენზინი შეიძინა.

„სტატისტიკის მიხედვით, აზერბაიჯანის „ევრო-2"-ის სტანდარტის ბენზინი რუმინული „ევრო-5" და „ევრო-6"-ის სტანდარტის ბენზინმა შეცვალა", – წერს აზერბაიჯანული გამოცემა. (ფრონტნიუსი)

# ბაჩო ახალაიას ადვოკატს იჭერენ?

8 იანვარს, მთავარი პროკურატურის შენობაში ინციდენტი მოხდა. პროკურორი ლევან ბაჩიაშვილი ფიზიკურად გაუსწორდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ადვოკატს რომეო საჯაიას, რომელიც პროკურატურაში საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის იყო დაბარებული, კერძოდ, საქმის მასალების გადასაცემად. რა გახდა პროკურორსა და ადვოკატს შორის ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი?

ლევან ბაჩიაშვილი ბაჩო ახალაიას საქმის პროკურორია, რომეო საჯაია კი – მისი დამცველი. როგორც „ალიასთვის“ გახდა ცნობილი, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე რომეო საჯაიამ პროკურორ ბაჩიაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ინციდენტი მალევე ამოიწურა, თუმცა, როგორც ჩანს, მხარეებს შორის დაპირისპირება არ დასრულებულა და 8 იანვარს ეს გამოჩნდა კიდეც.



პროკურატურის თანამშრომლები „ალიასთან“ საუბრისას დაზუსტებით არ ამბობენ, რა მოხდა კონკრეტულად მთავარი პროკურატურის შენობაში. მათი დუმილის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

„ალიამ“ მაინც შეძლო, გაერკვია ინციდენტის დეტალები. როგორც „ალიას“ წყარო უყვება, როგორც კი ბაჩიაშვილმა პროკურატურაში მისული რომეო საჯაია დაინახა, მივიდა და სახეში შეაფურთხა, შემდეგ კი ხელი გაარტყა. როგორც პირად საუბარში წყარო ამბობს, საჯაია დაბეგვილ-დაჟეჟილი გაიყვანეს პროკურატურიდან. ბაჩო ახალაიას ადვოკატს დაზიანებები აღენიშნება სახისა და თავის არეში.

ამ ინციდენტის შემდეგ სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ განცხადება გაავრცელა ბაჩო ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა. ნადარეიშვილი წერს: „დღეს მთავარ პროკურატურაში მოხდა ინციდენტი, რომელმაც უკვე ყველა ზღვარს გადააჭარბა. პროკურორ ლევან ბაჩიაშვილს, რომელიც არის ბაჩო ახალაიას თითქმის ყველა



საქმის პროკურორი, რომლებშიც ბაჩო გამართლდა სასამართლოს არაერთ ინსტანციაში, ამოძრავებს რა თავისი პირადული დაღმავალი კარიერული ბოღმა (და, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ მხრიდან არაერთხელ მოხვდა სასამართლოში მისი წაგებული საქმეების გამო), დღეს მთავარი პროკურატურის შენობაში სულ სხვა საქმეზე მისულ ბაჩოს ადვოკატს რომეო საჯაიას (რომელიც სასამართლოებზე გამოირჩეოდა თავისი პროფესიონალიზმით და ჰქონდა რეალობასთან შესაბამისი ემოციური გამოსვლები) ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სხვა პროკურორებისა და ადვოკატების თვალწინ. ინციდენტი ასევე ასახულია შენობაში არსებული სათვალთვალო კამერებით. როგორც გვაცნობეს, ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და დიდი იმედი მაქვს, რომ ლევან ბაჩიაშვილი აღმოჩნდება საბრალდებო სკამზე“, – წერს ბაჩო ახალაიას მეუღლე.

ვინ არის რომეო საჯაია, რა საქმეებში ფიგურირებს და როგორ იქცა დამნაშავე პროკურორი უფლებადამცველად? როლანდ ახალაიას მითითებით პროკურორების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე არაერთხელ დაწერილა „ალიასა“ თუ „ქრონიკაში“.

როლანდ ახალაიას სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი პროკურორობის დროს, რომეო საჯაია პროკურორი იყო და ხშირად ასრულებდა უკანონო ქმედებებს როლანდ ახალაიას დავალებით. მაგალითისთვის ისიც გამოდგება, როგორ გააყალბა ზუგდიდის უნივერმაღისა და სასტუმრო „ოდიშის“ საქმეები საჯაიამ, როგორ შეთითხნა ცრუ ბრალდებები ქონების კანონი-

გაგრძელება მეათე გვერდზე

## მომღერალ ნინი ქარსელაძის მამა დააკავეს

თეიმურაზ ქარსელაძე ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებითაა დაკავებული. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ, რომ აღნიშნული ბრალდებით მოქალაქე დაკავებულია, თუმ-



ცა პიროვნების იდენტიფიცირებას არ ახდენენ და აცხადებენ: თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისში მცხოვრები, 1962 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თეიმურაზ ქ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს ჩეხური წარმოების „ჩეზეს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 9 საბრძოლო ვაზნა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. (პირველი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მიუსაფართა თავშესაფარი სხვაგან გადააქვთ?

მიუსაფართა თავშესაფარმა შესაძლოა, ადგილმდებარეობა შეიცვალოს. ამის შესახებ მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე იმსჯელეს.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, მიუსაფართა თავშესაფარი შესაძლოა, ორხევის ტერიტორიაზე მოეწყოს და შესაძლოა, ის იყოს სენდვიჩპანელური ნაგებობაც.

„არსებული სტატუსი არის ასეთი, რომ დროებით, სწრაფი გადაწყვეტილებით, მოსკოვის გამზირზე შეიქმნა ე.წ. კარვების დასახლება. მოთხოვნილება არის, საშუალოდ, 200 ადამიანისთვის. ვფიქრობთ გადაწყობას უფრო ორგანიზებულ ინფრასტრუქტურაზე. შევარჩიეთ ალტერნატიული ფართი, რომლის შეფასებაც მოხდება ექსპერტების მიერ და მოხდება ტერიტორიის მოწყობა“, – აღნიშნა სერგეენკომ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას თქმით კი, „ვისაუბრეთ იგივე რაოდენობის კონტინგენტის გადაყვანაზე, რაც დღეს გვყავს. უფრო გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ადგილი რომ გაკეთდეს, კაპიტალური ნაგებობით, რათა ზამთრის პერიოდის გასვლის შემდეგაც იყოს შესაძლებელი ამ ადამიანების მომსახურება. მუნიციპალურ ფონდს დაევალა, გააკეთოს შესაბამისი პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და წარმოადგინოს შემდეგ სხდომაზე“, – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, სხდომაზე იმსჯელეს მიუსაფართა პირობების გაუმჯობესების შესახებაც. ნარმანიას განმარტებით, კარვებში არსებული პირობები ამ დროისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამედიცინო თვალსაზრისით სიტუაცია არ არის დამაკმაყოფილებელი, სიმართლეს არ შეესაბამება. (ინტერპრესნიუსი)



მეცხრე გვერდიდან

ერ მესაკუთრეებზე და როგორ „ახეხინა“ უდანაშაულო ადამიანებს წლობით ციხე. სხვები, რომლებმაც შეიტყვეს, რას უპირებდა მათ ახალაია-საჯაიას ტანდემი, იძულებული გახდნენ, ქვეყანა დაეტოვებინათ და საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ.

დაზარალებული თორნიკე ცხადაიაც ერთ-ერთი მათგანია, ვინც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაბედა საქართველოში ჩამოსვლა და ვინც სწორედ როლანდ ახალაიამ და რომეო საჯაიამ აიძულეს, წლების განმავლობაში უცხო ქვეყნისთვის შეეფარებინა თავი.

# ბაჩო ახალაიას ადვოკატს იჭერენ?





თორნიკე ცხადაია

ცხადაია „ალიასთან“ საუბრისას ყვება: „2006 წელს ჩვენ შევიძინეთ სს „ზუგდიდის ვაჭრობის“ აქციები, რომლის იურისტიც გახლდით მე, ხოლო ფაქტობრივი შემძენი იყო დავით როგავა, დირექტორი კი – თამაზ ქანთარია. იმიტომ ჩამოვთვალე ეს ხალხი, რომ სამივე დაგვაქციეს. აქციების შეძენისთანავე დაიწყო ჩვენზე ზეწოლა და დევნა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ თურმე ზუგდიდში თუკი ვინმე რამეს შეიძენდა, როლანდ ახალაიასთვის უნდა შეეთანხმებინა. როლანდ ახალაია დაინტერესებული იყო იმ უძრავი ქონებით, რომელიც როგავამ შეიძინა. ახალაიას დავალებით, რომეო საჯაიასგან იყო შემოთვლები, რომ სახელმწიფოსთვის გადაეცათ მესაკუთრეებს ქონება. მფლობელებმა ამაზე უარი უთხრეს და ამის შემდეგ დაიწყო როლანდ ახალაიას დავალებით პროკურორმა რომეო საჯაიამ საქმის შეთითხვნა.

ბოლოს, აქციების შეძენიდან 7-8 თვეში მოგვდეს შარი, თითქოს 1997 წელს ეს შენობა არასწორად, უკანონოდ იყო პრივატიზებული, ჩვენ ეს ვიცოდით და მაინც შევიძინეთ. მე და თამაზ ქანთარიამ მოვასწარით საქართველოდან გაქცევა და დაუსწრებლად წარგვიდგინეს ბრალი. ეს ყველაფერი იყო რომეო საჯაიას მიერ შეთითხნილი საქმის გამო. მოწმეები ყვებიან დღეს სასამართლოში, როგორ ახორციელებდა პროკურორი საჯაია მათზე ზეწოლას და როგორ აიძულებდა მათთვის სასურველი ჩვენების მიცემას გამოძიებისთვის. ყველა მოწმე ამბობს, რომ ჩვენს წინააღმდეგ ჩვენებები მათ რომეო საჯაიამ დააწერინა. საქმე აღძრულია რომეო საჯაიას წინააღმდეგ თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით. მოწმეებს ჩვენებები აქვთ მიცემული პროკურატურისთვისაც და სწორედ პროკურატურიდან ველოდებით რეაგირებას. საჯაიას შეთითხნილი უკანონო საქმის გამო წლები უცხოეთში ვიყავი, დავით როგავამ ქონება დაკარგა და თამაზ ქანთარიაც გაქცეული იყო.

ჩვენი საქმე მხოლოდ ნაწილია იმ დანაშაულებისა, რასაც რომეო საჯაია და როლანდ ახალაია ერთობლივად ახორციელებდნენ. არ შეიძლება დამნაშავე ამოეფაროს ადვოკატისა და უფლებადამცველის მანტიას და დადიოდეს ისე, თითქოს დანაშაული არ ჩაუდენია და ადამიანებს უკანონოდ არ მოქცევია. ოდესღაც უნდა დამთავრდეს საქართველოში ის, რომ დამნაშავეები ამოეფარებიან უფლებადამცველობას, იყვირებენ ტელევიზიით და შერჩებათ ყველა უკანონობა, რაც ჩაუდენიათ. დღეს რომეო საჯაია გამოდის და აქეთ გვდებს ბრალს და გაიძახის, უფლებები მეზღუდება, როგორც ადვოკატსო. ეს არის ამაზრზენი“. – ამბობს ცხადაია.

„ალიასთვის“ ცნობილი გახდა ისიც, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება რომეო საჯაიას დაპატიმრება იმ საჩივრების საფუძველზე, რომელიც ყოფილი პროკურორის წინააღმდეგ არის შესული პროკურატურაში. „ალიას“ ინფორმაციით, საჯაია გაცილებით ადრე იქნებოდა დაპატიმრებული, რომ არა მისი ადვოკატობა. ვინაიდან საჯაია ბაჩო ახალაიას ადვოკატია, მისი დაპატიმრება მისცემდა სალაპარაკოს ბაჩო ახალაიას ოჯახის წევრებს (აბა, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები არც მანამდე იკლავდნენ თავს ბაჩო ახალაიაზე განცხადებების კეთებით), თუ როგორ იდევნება შს ყოფილი მინისტრი და როგორ დაუპატიმრეს ადვოკატი. პროკურატურაში დიდი ხანია მიდის იმ მტკიცებულებათა მოპოვება, რომელიც რომეო საჯაიასა და როლანდ ახალაიას დანაშაულს დაადასტურებს. წყაროს ცნობით, ეს პროცესი ბოლოშია გასული და უახლოეს მომავალში როლანდ ახალაიაც და რომეო საჯაიაც მიეცემიან პასუხისგებაში.

**„ალიამ“ სცადა რომეო საჯაიასთან დაკავშირებაც, თუმცა მან განგვიცხადა: ამ დროისთვის საგამოძიებო მოქმედებებში ვარ ჩართული და ვერ გავაკეთებ კომენტარს. მოგვიანებით დამირეკეთ და მოგცემთ კომენტარსო. თუმცა მოგვიანებით ველარ დავუკავშირდით, რადგან მობილური ტელეფონი გამორთო.**

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სემეკი თბილისში ბრუნდება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია თბილისში ბრუნდება. 2014 წლის 1-ლი თებერვლიდან კომისიის იურიდიულ მისამართად განისაზღვრა ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქუჩა №19.

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში არსებული სიახლეები ითვალისწინებს კომისიის საქმიანობის მოდერნიზებასა და მისი ეფექტურობის ზრდას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს კომისიის განახლებულ ინსტიტუციურ ერთეულად გარდაქმნას. საქართველომ 2013 წლის დასაწყისში გააკეთა განაცხადი ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანების თაობაზე, რაც გულისხმობს რიგი სამუშაოების განხორციელებასა და ენერგეტიკის კუთხით საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის პაკეტთან.

კომისია აცნობიერებს რა მარეგულირებელი ორგანოს როლსა და მნიშვნელობას ძლიერი ენერგოსექტორის არსებობის პირობებში, 2014 წლის პირველი თებერვლიდან ფუნქციონირებას განაგრძობს ქ. თბილისში, რათა გაუმჯობესდეს კომისიის საქმიანობა, რაც გულისხმობს ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, კომისიის წინაშე დასმული ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას, საქმიანობის გამჭვირვალობას, კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებულ კომპანიებთან მჭიდრო კომუნიკაციის უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა მოკლე ვადებში საზოგადოებას შესთავაზონ და გაუწიონ სრულიად ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურება“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## თელავის გამგეობის თანამშრომელი ნარკოტიკებზე დააკავეს



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ნარკოდანაშაულისთვის 1970 წელს დაბადებული გიორგი მაჭავარიანი დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 0,0109 „ბუპრენორფინის“ შემცველი 0.5460 გრ ნარკოტიკული ნივთიერება. ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დაკავების მომენტში გიორგი მაჭავარიანი მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)

„ალიას“ პროკურატურიდან დათხოვნილი **გიორგი ნოზაძე** ესაუბრა:

**— ბატონო გიორგი, თქვენი განთავისუფლება პროკურატურიდან, უბრალოდ, სამსახურიდან გაშვება არ იყო, თქვენ ამბობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეებს ჩამოგაშორეს. რა საქმეებზე მუშაობდით, არ გითქვამთ. შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ?**

– საგამოძიებო სამსახურის უფროსი იყო მირანდა მელქაძე, რომელსაც მე ვექვემდებარებოდი, უშუალოდ ლაშა ნაცვლიშვილთან კავშირი არ მქონია, მაგრამ თავად მელქაძე ექვემდებარებოდა მას. მელქაძე იყო ის ადამიანი, რომელიც გამუდმებით მბლოკავდა და ხელს მიშლიდა, რომ საქმეები გამომეძიებინა. ახლა მოგახსენებთ იმ საქმეებზე, რომელზეც მე ვმუშაობდი. მოგეხსენებათ, 2006 წელს მოხდა ციხის ბუნტი. სწორედ ამ საქმიდან გამოყოფილ საქმეებზე 5 პირის მიმართ, მათ შორის ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას, დავით ჭკუას, ჭარბაძის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. ეს ის საქმე იყო, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ძიებაში. თქვენ გახსოვთ, რომ ციხის ბუნტზე მიესაჯა მათ სასჯელი, მაგრამ პრეზიდენტმა შეიწყალა ისინი. ამ საქმის გარდა, მე ვიძიებდი აჭარის კუდ-ის უფროსის, თეიმურაზ პატარიძის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ამ საქმეში იყო უამრავი ეპიზოდი, სადაც ჩემსავე გამოძიებულ საქმეზე



# რა გახმაურებულ საქმეებს ჩამოაშორეს კბილაშვილის პროკურორები?



ასევე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. აქედან კიდევ დარჩა ეპიზოდები, რომელზეც ვაგრძელებდი გამოძიებას. ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდი და ასევე ინტენსიურად მიშლიდა ხელს საგამოძიებოს უფროსი, მირანდა მელქაძე. ყველაფერში გარკვევა უნდოდა, კაცს დავკითხავდი და მეორე დღეს ბრალდებულის ადვოკატი მორბოდა, არიქა, ჩქარა გამაცანი საქმის მასალებიო. კი აქვს მას უფლება, მოითხოვოს და გავაცნო ეს საქმეები, მაგრამ ძალიან საეჭვოდ ემთხვეოდა მათი მოთხოვნა.

**— რა საეჭვო გარემოებაზე საუბრობთ?**

– მაგალითად, რამე დოკუმენტს რომ მოვიპოვებდი, რამდენიმე საათში დამადგებოდა ბრალდებულის ადვოკატი. როგორ ფიქრობთ, თუ ინფორმაცია არ მიჰქონდათ, საიდან იცოდა, კონკრეტულად რა სახის ინფორმაცია მქონდა მიღებული? მოწმეს რომ დავკითხავდი, ოქმის გასაცნობად მაშინვე მოვიდოდა ადვოკატი.

**— რა გამოდის, ამ საქმეების გამოძიება, გარდა იმისა, რომ დროში იწელებოდა, ყველა ოპერატიული ინფორმაცია გარეთ გადიოდა?**

– დიახ, ასეა. ხალხმა ბევრი რამ არ იცის. 24 საათი პროკურატურაში ვიყავი, დღე არ მყოფნიდა და ღამე ვკითხავდი ხალხს, რომ ამათ არ დაეშალათ მისი დაკითხვა, 4 მოწმე უცხოეთიდან ჩამოვიყვანე, აეროპორტიდან პირდაპირ პროკურატურაში მოვიყვანე, რომ დამეკითხა.

**— ღამე რატომ კითხავდით?**

– რომ არ აეკრძალათ მისი დაკითხვა, არ გაეგოთ, რომ დაკითხვას ვაპირებდი და არ დავებლოკე. ისეთ რეჟიმში ვმუშაობდი წელიწადზე მეტი, რომ ვერ გადმოგცემთ.

**— მელქაძე ვის თამაშს თამაშობდა?**

– ის იყო საგამოძიებოს უფროსი, ამავე დროს, ყველა იმ საქმეში იხედებოდა, რომელიც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ეხებოდა და რაც არ სურდა, ბლოკავდა. რაც არ უნდოდა, არ მაკეთებინებდა. მე პოლიტიკურ განცხადებებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ვამბობ სრული კატეგორიულობით - მელქაძე ხელს უშლიდა ყველა იმ საქმის გამოძიებას, რაც მიმდინარეობდა და მიდის დღესაც. ყველა საქმე, რომელსაც ის ბლოკავდა, მხოლოდ „ნაციონალ“ მაღალჩინოსნებს ეხებოდა.

**— გასაგებია, რომ საქმეებს გიბლოკავდნენ, რამე დირექტივა არ შეასრულეთ, რის გამოც მოგიშორეს?**

– იცით, რაშია საქმე? კონკრეტულ დირექტივებს კი არ იძლეოდნენ, ისე მიჰყავდათ ტექნიკურად, რომ საქმე ვერ გაგეკეთებინა. ვის მიმართაც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, კი იცით, როგორ დასრულდა, ამ საქმეებში ბევრი კუდი დარჩა, რომლის გამოძიებაც ბევრ რამეს ახდის ფარდას, მე ამ კუდებს მივყვებოდი ახლა, სწორედ ამ დროს გამომიშვეს. უკვე ჩუმად ვკითხავდი ხალხს და ჩუმადვე ვიღებდი ჩვენებებს. მაგრამ ახლა მე თქვენ გეტყვით, რა გავაკეთე და მიხვდებით, რომ

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საყდრისს ჩამონგრევის საფრთხე ემუქრება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ძეგლის მეგობარი“ იმედოვნებს, რომ ხელისუფლება საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული ოქროს საბადოს დანგრევას არ დაუშვებს. საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული ოქროს საბადოს ტერიტორიაზე 7 იანვარს კომპანია „**RMG gold**“-ის ტრაქტორები შევიდნენ. „ძეგლის მეგობრის“ ხელმძღვანელის სალომე ჭანტურიძის განცხადებით, ბორცვის ზედა ფენის დამუშავება ხდებოდა, რისი დამადასტურებელი ფოტოებიც აქვთ. კომპანიის წარმომადგენლები კი ადგილზე შესვლის შესაძლებლობას არავის აძლევენ. მომხდარის შესახებ ინფორმაცია მათ კულტურის სამინისტროს მიაწოდეს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, 8 იანვარს, ადგილზე კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები ჩავიდნენ, თუმცა ტერიტორიაზე კომპანიის წარმომადგენლებმა ისინიც არ შეუშვეს.

„როგორც ჩანს, კომპანია აღარ ითვალისწინებს იმ შეთანხმებას, რაც მოხდა გერმანიაში ძეგლთან დაკავშირებით. ახლახან იყო დიპლომატიური შეხვედრა საქართველოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის. არავინ არ დაელოდა საერთაშორისო კომისიის შექმნას და ძეგლის კვლევის გაგრძელებას. ეს იყო კანონის დარღვევით განხორციელებული სასტიკი ქმედება და ამ ადამიანებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ“, – განაცხადა სალომე ჭანტურიძემ.

ჭანტურიძემ ასევე აღნიშნა, რომ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა საყდრისის მაღაროსთვის ძეგლის სტატუსის ხელახლა მისანიჭებლად კულტურის სამინისტროში საბუთები კვლავ შეიტანა. მათ იმედი აქვთ, რომ სამინისტრო ძეგლის დასახმარებლად ამ ჯერზე ყველაფერს გააკეთებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დაშავებული სამხედროები რეაბილიტაციის კურსს გაივლიან

წეროვანის რეაბილიტაციის ცენტრში საომარ მოქმედებებში და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დროს დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები რეაბილიტაციის კურსს გაივლიან. წეროვანის პრეზიდენტის ყოფილ რეზიდენციაში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს გადაეცა ამ ეტაპზე, სამხედრო მოსამსახურეებისთვის კეთილმოწყობილი, ორი შენობაა მომზადებული.

სამხედროები, ოჯახის წევრებთან ერთად, ცალკეული სამედიცინო ბატალიონის მედპერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. მათ ასევე მოემსახურებიან ფსიქოლოგები და ფსიქიატრები. პერსონალი სამხედროებს და მათი ოჯახის წევრებს 24-საათიან სადღეღამისო სამედიცინო მომსახურებას გაუწევს. აუცილებლობის შემთხვევაში მოხდება საჭირო პროფილის ექიმის ადგილზე გამოძახება. წეროვანის რეაბილიტაციის ცენტრის ტერიტორიაზე მოწყობილია რეაბილიტაციის კურსისთვის საჭირო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტი და კეთილმოწყობილი სასადილო.



ამ ეტაპზე რეაბილიტაციის კურსის გავლის სურვილი 170-მა პირმა გამოთქვა. სამხედრო მოსამსახურეები, ოჯახებთან ერთად ეტაპობრივად გაივლიან 10-დღიანი რეაბილიტაციისა და დასვენების კურსს.

„წეროვანის რეაბილიტაციის ცენტრში ჩვენი სამხედროების პირველი ნაკადი ოჯახებთან ერთად მოვიდა. ეს უკვე სისტემად იქცევა. ათდღიანი რეაბილიტაციის კურსის შემდეგ, უკვე ახალი სამხედროები ჩამოვლენ ოჯახებთან ერთად. ყველაზე კარგი რეაბილიტაცია ოჯახთან ერთად, შვილებთან, ცოლთან ერთად გატარებული დროა. ძალიან გვიხარია, რომ შესაძლებლობა გვაქვს ასეთი მომსახურება მივცეთ ჩვენს ჯარისკაცებს, იმ ვაჟკაცებს, ვინც ყოველდღიურად ჩვენთვის, ჩვენი მომავლისთვის თავს წირავენ. ეს არის ჩვენი ვალი, სახელმწიფოს ვალი, რომ მათ გვერდში დავუდგეთ და მივცეთ შესაძლებლობა, გამოჯანმრთელდნენ და სამხედრო საქმეს დაუბრუნდნენ“ – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

პროცესი პერმანენტული ხასიათის იქნება და გავრცელდება ყველა დაშავებულ სამხედრო მოსამსახურესა და მათი ოჯახის წევრზე. 2014 წელს თავდაცვის სამინისტრო გეგმავს ამ შენობების ადაპტირებასა და მძიმედ დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვას. 2015 წლიდან კი ამავე ტერიტორიაზე დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაიწყება. (ჯი-ეიჩ-ენი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეთერთმეტე გვერდიდან*

ძალიან მნიშვნელოვანია ეს საქმეები საზოგადოებისთვის.

— **რა გააკეთეთ?**

– ყველა საქმის მასალებს, რომელსაც ვიძიებდი, ასლები გადავუღე და დავმალე. მერე რომ ვინმემ არ მითხრას, საქმე არ გაგიკეთებიაო, ვაჩვენებ, რაც გავაკეთე.

**უსუსურობაზე. გამოდის, ეს უსუსურობა მათ მიერ იქ ჩანერგილი ადამიანებით იყო გამოწვეული. ასეა?**

– სწორედ ასე იყო. ელექტრონულ მასალებზე თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს ჰქონდათ წვდომა, მაგრამ ინფორმაცია ჰქონდა ყველას. ვის არ ვეუბნებოდი ამის შესახებ, რომ ამ მასალებში ბევრი ვინმე ძვრელმძღვანელსაც ვეუბნებოდი, მაგრამ რა? ვისაც ხელი მიუწვდებოდა ამ ინფორმაციაზე, გამოდის, რომ მათ გარეთ გაჰქონდათ. რამდენიმე შემთხვევა მქონდა ისეთი, რომ უცხოეთიდან დოკუმენტი მივიღე, ბრალდების ჩვენება მქონდა, საიდუმლო დოკუმენტიც, სატელეფონო საუბრის ოქმი და სულ რამდენიმე ტულ საქმეებზე სრული დარწმუნებით. ვიმეორებ, იქ არიან ადამიანები, რომლის მეშვეობითაც არც ერთი საქმე არ იქნება გამოძიებული სრულფასოვნად.

— **თანამდებობიდან გამომდინარე, ნაცვლიშვილი განაგებდა იქ ყველა საქმის გამოძიებას? უშუალოდ ის არ იძლეოდა დირექტივებს?**

– მე ჩემთან მიმართებაში ხალხი პარტიზანულად დავკითხე, რადგან ოფიციალური დაკითხვის უფლებას არ მაძლევდნენ. „დამაბეტონეს" ამ ალაძის მოსვლის შემდეგ ეს მელქაძე მოიყვანეს ფინანსური სამსახურიდან, ისევე, როგორც ბევრი სხვა, სწორედ ის მეთოდები მოიტანეს პროკურატურაში, რაც ფინანსურ პოლიციას ჰქონდა. ვინ უნდა გაეგდოთ, ეს უშუალოდ მელქაძეს დაავალეს. ოქტომბრის არჩევნების მერე ხომ მივედით ჩვენ, ერთი წლის



# რა გახმაურებულ საქმეებს ჩამოაშორეს კბილაშვილის პროკურორები?

**„კბილაშვილი ფაქტობრივი მთავარი პროკურორი იყო მხოლოდ იქამდე, სანამ ნაცვლიშვილი მოვიდოდა უწყებაში. იქიდან მოყოლებული ფარცხალაძის თანამდებობაზე ყოფნის დროის ჩათვლით ნაცვლიშვილი იყო ყველაფერი"**

— **„ნაციონალები" სულ ქირქილებდნენ პროკურატურის** ბოდა და გაეკონტროლებინათ, მაგრამ ამაოდ. ჩემს ხესაათში ბრალდებულის ადვოკატი მირეკავდა, თანაც ისე, 2-3 კვირა რომ არ გავხსენებივარ. როგორ არ ჩავვარდე ეჭვში?



— **ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს საქმეებს ისეთ ვინმეს გადასცემენ, ვინც ახალაიასა და მისი მეგობრების ციხიდან გამოშვებაზე უფრო იზრუნებს, ვიდრე სამართლიანობის აღდგენაზე?**

– მე ამაში დარწმუნებული ვარ. ყველაფერი აქეთკენ წავიდა. ჩვენი გაშვების ამბავი ლოკალურია, მაგრამ ეს პატარა კაცების გადაწყვეტილებაა, ამის უკან დგას „დიდი კაცების" გადაწყვეტილება, რომ საქმეები არ იქნას გამოძიებული. რომელი სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი? თუ მე იქ როდესმე დავბრუნდი, ჩემს ასლებს გამოვაჩენ და ასე შვილივით მიყოლილ საქმეს ჰაერში არ დავტოვებ, რადაც არ უნდა დამიჯდეს. მე არ ვაკეთებ პოლიტიკურ განცხადებას, მე ვსაუბრობ კონკრეგიპასუხებთ მხოლოდ ამ კითხვაზე. მელქაძეს რომ ვეუბნებოდი, ნაცვლიშვილმა თუ იცის, რა ხდება აქ-მეთქი, სულ მეუბნებოდა, აქ არ არის, ვერ შევუთანხმე, ვერ ვაჩვენე, ვერ დაველაპარაკეო. დაკითხვის საქმეს 1-2 კვირით გადამიდებდა ხოლმე. შეიძლება, ბოლოს საერთოდ არ დაერთო ნება, ან ნაცვლიშვილისგან მოვიდოდა დირექტივა, რომ არ იყო საჭირო კონკრეტული ადამიანის დაკითხვა. იყო საქმის გამოძიების დროს შუა გზაში გაჩერების ფაქტიც.

— **კბილაშვილზე ამბობდნენ, სუსტიაო, ფარცხალაძე - ხისტიაო... რა თამაშს ჰქონდა ადგილი სინამდვილეში?**

– კბილაშვილი ფაქტობრივი მთავარი პროკურორი იყო მხოლოდ იქამდე, სანამ ნაცვლიშვილი მოვიდოდა უწყებაში. იქიდან მოყოლებული ფარცხალაძის თანამდებობაზე ყოფნის დროის ჩათვლით ნაცვლიშვილი იყო ყველაფერი. ის წყვეტდა თვით უმნიშვნელო საქმესაც კი. ყველაზე მეტად მბლოკავდნენ და მაჩერებდნენ თემურ პატარიძის საქმეზე. მის ერთ-ერთ ეპიზოდს საერთოდ არ გამაკარეს მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ საქმეზე, ჩამაკეტინეს სეიფში და დამავიწყებინეს. ვიხვეწებოდი, კაცი დამაკითხინეთ-მეთქი. ამდენი ხნის პროკურორი ვარ და ასეთი არაფერი მინახავს. ვინც საჭირო იყო, იმის გამოძახებას არ მანებებდნენ. კონკრეტული გვარებს ვერ დაგისახელებთ, რადგან საქმე ძიებაშია ჯერ კიდევ და თუ მოხდა სასწაული და ვინმე ღირსეული მივიდა ჩემს ადგილას, ჩემი საჯაროდ მოწმეების დასახელება ხელს შეუშლის.

— **სანამ არ გაგათავისუფლეს, აქამდე ამაზე არ გისაუბრიათ, რატომ დუმდით?**

– მინდოდა, გამომეძიებინა ეს საქმეები ყველაფრის ფასად და მქონდა იმედი, რომ ისეთი მთავარი პროკურორი მოვიდოდა, ამ ყველაფერს ვეტყოდი და გარეთ არ გამოვიტანდი. ახლა გამიჩნდა იმედი, რომ რახან ფარცხალაძე გადააყენეს, იქნებ ქვეყანაში დალაგდეს ამ მხრივ რამე, თორემ მეც ვიცი, როცა ვიბლოკებოდი, მაშინ რომ უნდა მეყვირა. მე ვიცი ერთი რამ კიდევ. როცა კბილაშვილი წავიდა, ჩვენ დაგვტოვეს უწყებაში მაინც, მაგრამ ფარცხმერე გამოგვყარეს და ისევ ის ხალხია ხელუხლებელი, ვინც ჩვენს მისვლამდე იყო.

— **ანუ „ნაციონალების" კადრები?**

– დიახ. ერთიც კი არ გაუგდიათ, ბუზი არავის არ აუფრენია. არანაირი ცვლილება არ არის კი არა, მგონია, „ნაციონალები" არსად არ წასულან. ყველაფერი იგივეა. პროკურატურაში „ნაციონალებს" ისე „ამაგრებენ", რომ სამართლიანობის აღდგენის არანაირი შანსი არაა. „ნაციონალების" მეთოდებით მუშაობენ, როცა სურთ სამსახურიდან გაგიშვან. „ნაციონალებიც" კი არ ,,ნაგლობდნენ" ასე. ერთსაც გეტყვით, პროკურატურიდან გაშვების მერე ვაკანსია დაიდო და 10 „სივი" შევიდა, მივიღე კონკურსში მონაწილეობა. 10-ივე მამაკაცი ვიყავით, რა თქმა უნდა, მე ვერ გავიარე კონკურსი, მაგრამ იცით, ვინ დანიშნეს? ელზა საგანელიძე. ქალი კონკურსზე საერთოდ არ იყო და უკვე წინასწარ შერჩეული ადამიანი დანიშნეს. ამის მერე რაზე ვისაუბრო?

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ადვოკატი პროკურორს ადანაშაულებს

ადვოკატი მამუკა ნოზაძე პროკურორ ია დარჯანიას არაეთიკურობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ პროკურორი ტყუილებით ცდილობს პროფესიული მოვალეობის შესრულების თავიდან აცილებას. საქმე ეხება ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის საქმეს. ნოზაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მამალაძეს ამნისტია შეეხო, პროკურატურას არ მიუმართავს სასამართლოსთვის, რათა მამალაძეზეც გავრცელებულიყო აღნიშნული აქტი.

„ლევან მამალაძეს შეეხო ამნისტია შარშან და პროკურატურის ვალდებულება გახლდათ, რომ მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა ამნისტიის კანონის გავრცელება. ეს არა კეთილი ნება, არამედ კანონით დაკისრებული ვალდებულებაა, თუმცა პროკურორმა ია დარჯანიამ აღნიშნული არ განხორციელა და კანონი დაარღვია. 5 დეკემბერს მივმართეთ მთავარ პროკურორს და მოვითხოვეთ, შეასრულონ კანონით დაკისრებული მოვალეობა, მიმართონ რუსთავის სასამართლოს შუამდგომლობით ლევან მამალაძის მიმართ ამნისტიის გამოყენების თაობაზე, ამის შემდეგ განმეორებით მივმართე 13 დეკემბერს, თუმცა უშედეგოდ. პროკურორთან სატელეფონო კომუნიკაცია მქონდა, თუმცა პროფესიული მოვალეობის არშესრულების არგუმენტად აბსურდული მიზეზები მოჰყავს, თითქოს შეუძლოდ იყო, ხან დეპარტამენტის ხელმძღვანელს ვერ შეხვდა და ა.შ. რაც პროკურორის მხრიდან არაეთიკური და არასერიოზულია. ის ტყუილებით ცდილობს, თავიდან აიცილოს პროფესიული მოვალეობის შესრულება, რაც ისედაც იმიჯშელახულ პროკურატურას, კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ამყოფებს.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ძებნაში მყოფ მამალაძეს ქართველი სამართალდამცველები ქრთამის აღებასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ედავებოდნენ. ქართულმა მართლმსაჯულებამ მას თავისუფლების 17 წლით აღკვეთა მიუსაჯა. როგორც ადვოკატი აცხადებს, მათ შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავთ. (ფრონტნიუსი)



რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


**„ალიას“ საგარეჯოდან ქალბატონი დაუკავშირდა, ექიმი ვარ, უამრავი პრობლემა გვაქვს და ჩვენს დეპუტატთან თინა ხიდაშელთან შეხვედრას ვერაფრით ვახერხებთ. იქნებ ჩვენი პრობლემები თქვენ გადასცეთ და მოგვხედოსო (ქალბატონმა სამსახურის დაკარგვის შიშით ვინაობის გამხელა არ ისურვა).**

გინებასო.

**— გინდათ თქვათ, რომ რაიონის პრობლემები არ იცის ხიდაშელმა?**

– აღმოჩნდა, რომ თურმე კარგად ერკვევა რაიონში არსებულ პრობლემებში, მაგრამ საერთოდ არაფერზე რეაგირებს. რამდენიმეჯერ ვცადე მას უნდა, რომ დაანახოს მთავრობას, მაშინ იბარებს ხალხს შეხვედრაზე და არა მაშინ, როცა ხალხს პრობლემა აქვს და თავად ითხოვს შეხვედრას. ხიდაშელის წინააღმდეგ ხალხის უკმაყოფილება მზარდია და ეს მალე აფეთქდება, თუმცა ჩემი საზოგადოება, ვინც ხიდაშელი აირჩია, სწორედ მას იმსახურებს და იმასაც, რა მდგომარეობაშიც ვართ ჩავარდნილები.

**„ალია“ ბრალდებებთან დაკავშირებით თინა ხიდაშელს დაუკავშირდა:**

**ექიმები ჩივიან უამრავ პრობლემაზე — გაუმართავ მანქანებზე, დაბალ ხელფასზე, უყურადღებობაზე თქვენი მხრიდან. როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, თქვენ შეგხვდათ კიდეც, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თუ იცნობთ ექიმების მდგომარეობას და რის გაკეთებას აპირებთ მათთვის?**

ღანლო. დაახლოებით 40 ათასი ადამიანი ცხოვრობს, საკმაოდ მოშორებულია ცენტრალურ საავადმყოფოს. ერთი პატარა კლინიკა აქვთ, ევროკავშირის დაფინანსებული, ისიც ადრე და სულ ეს არის. ადამიანები დღესაც კი სახლში აჩენენ ბავშვებს, ასე-

# ბრალდებები თინა ხიდაშელის წინააღმდეგ

## რატომ არ ხვდება თავის ამომრჩეველს საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი თინა ხიდაშელი და როდის არის ხალხთან საუბარი მისთვის მნიშვნელოვანი? რატომ ჰყოფს ამომრჩევლებს კლასებად?

**— ქალბატონო, რაზე გსურთ თინა ხიდაშელთან საუბარი?**

– რა აღარ გავაკეთე, რომ მივსულიყავი თინა ხიდაშელთან და პრობლემების შესახებ მესაუბრა მასთან. მინდოდა მეთქვა, რა მძიმე მდგომარეობაში ვართ ექიმები, ისეთი მანქანებით დავდივართ, პაციენტამდე მისვლა კი არა, ჩვენი სიცოცხლეა საფრთხეში, ხელფასი ჩვენთვის არაა. ისე გვიჭირს ყველას, ვისაც რა შეგვიძლია, თავის შველაზე ვართ გადასული და ერთმანეთსაც ვერ ვეხმარებით. ორსართულიან შენობაშია ამბულატორია, პაციენტები არ ეტევიან და გამოძახებაზე რომ გავდივართ, კლინიკაში არ მოგვყვებიან, იციან, ადგილები რომ არ არის. კახელები, ხომ იცით, მომთმენი ხალხია, მაგრამ ახლა უკვე ველარ ითმენენ. საგარეჯოში რომ იყო, ხმა არ ამოუღია, არც კი მოგვისმინა ნორმალურად. ერთი ის გვითხრა, თქვენნაირი ადამიანი მჭირდება სასაუბროდ, ყველას ყველაფერს კი ვერ ვაგებინებო და გამოგვიშვა. საგარეჯოელებს კლასებად ჰყოფს, გლეხებს არ ელაპარაკება, საზოგადოების შედარებით განათლებულ ნაწილს ეფერება, მაგრამ დელიკატურად იშორებს, რადგან სჯერა, არ იკადრებენ ლანძღვა-დაკავშირება მასთან, რომ გამეგო მაინც, რას გააკეთებდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. არადა, ჯერ კიდევ არჩევნების წინ აცხადებდა, ჯანდაცვა პრიორიტეტია და ყველა დაჩაგრულის მხარეს ვიქნებიო. ისე, რა გინდათ, კი არის დაჩაგრულის მხარეს, ისეთ დასახლებაში მივიდა საახალწლოდ, რომელიც მთელმა საგარეჯომ იცის, რომ სინამდვილეში ბორდელია. აი, იქ მიიტანა საჩუქრები. არც ერთი მთავრობის გუნდრუკის მკმეველი არ ვყოფილვარ და არც ვიქნები, მაგრამ რისთვის მეიმედებოდა ეს ქალი, არ ვიცი. ექიმები ყოველდღე ელოდნენ, რომ მოვიდოდა და რამეში მაინც გაგვარკვევდა. ერთ ფაქტს გეტყვით, სასწრაფოთი მძიმე ავადმყოფი მიგვყავდა, გვერდით ისე ჩაგვიარა, არ მოუხედავს, რომ თანაგრძნობა მაინც გამოეცხადებინა. გამარჯობას არავის ეუბნება.

**— რას აპირებთ?**

– რა უნდა დავაპიროთ? დიდი უკმაყოფილებაა ხიდაშელის წინააღმდეგ, რაიონში რამდენიმეჯერ შეგროვდა ხელმოწერები, რომელიც პარლამენტში გაიგზავნა მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მიზნით, მაგრამ ამაოდ. არ მახსენდება ერთი რამეც კი, რაც მას გაუკეთებია ხალხისთვის, მთელი წელი იყო დაკარგული და საახალწლო დღეებში გამოჩნდა. როცა რაიონი ღირსია. ლამის გადაჰყვნენ არჩევნებზე, ახლა თავში ქვა იხალონ და აიტანონ. ეს



**— ქალბატონო თინა, საგარეჯოში სასწრაფო დახმარების**

– სასწრაფოს ექიმებს რომ შევხვედროდი, არ მახსენდება, თუმცა მიღების დროს, საშუალოდ, 100 ადამიანს ვისტუმრებ და არ გამოვრიცხავ. მანქანები მართლა ცუდ მდგომარეობაშია, პრობლემები ზუსტად ისეთი აქვთ, რაც დანარჩენ საქართველოში. კიდევ მეტი შემიძლია გითხრათ საავადმყოფოს პრობლემებზე. სრული კატასტროფაა. ერთი მისხალით არ არის გამოსწორებული მდგომარეობა ამ ერთი წლის მანძილზე. ძალიან პატარაა, ყველა პაციენტი ერთად წევს, ეს ყველაზე მეტად აწუხებს მოსახლეობას, მშობიარე, ხელმოტეხილი, თუ გრიპიანი პაციენტი. ბევრი თანამშრომელი გაათავისუფლეს, მათ შორის არჩევნების შემდეგაც და საკმაოდ ცუდი მდგომარეობა შეიქმნა.

არის რამდენიმე შესაძლებლობა ვითარების ცოტა გაუმჯობესებისთვის, მაგრამ ჯერ რთულია კონკრეტიკაზე საუბარი, თუმცა რაღაც ვარიანტი ჩანს. პრობლემა ასევე იყო ძველი პოლიკლინიკის, რომელიც ისევ პრობლემად არის დარჩენილი. ამ თემაზე უსასრულოდ შემიძლია საუბარი, მაგრამ პრობლემები მთლიანად ძველი მემკვიდრეობაა და ძალიან რთულია, მათი მარტივად გამოსწორება შეუძლებელია. მაგალითად, საგარეჯოს რაიონშია იორმუ-

თი შემთხვევებიც არის. უფრო დიდი პრობლემაა სოფელი უდაბნო, რომელიც ასევე საკმაოდ მოშორებულია და ამბულატორიაც კი არ ჰქონდა დღემდე. ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია და 2014 წელს აშენდება ამბულატორია მათთვის. ამ პრობლემაზე ნამდვილად ვმუშაობ და როგორც გითხარით, უდაბნო არ იქნება ერთადერთი, სადაც პრობლემა მოგვარდება.

**— ეს ქალბატონი ასევე საუბრობს იმაზე, რომ მოსახლეობას როცა უნდა, მაშინ ვერ გხვდებათ და როცა თვითონ ჩამოდის, ძირითადად მლიქვნელებს ხვდებაო...**

– ეგ უკვე საინტერესოა. მე სრულად მაქვს შენახული ჩანაწერები, უკვე დაახლოებით 2500 ადამიანს შევხვდი პირადად მიღებაზე. ყველა სოფელში ვიყავი შეხვედრაზე მოსახლეობასთან, სადაც ასეულობით ადამიანს ველაპარაკე და ყველა თუ მლიქვნელია, კი, ბატონო, შემიძლია, ამ ლოგიკას გავყვე. მე ვიცი, ვინც აბუნტებს ხალხს ჩემს წინააღმდეგ. როდესაც ადამიანი გაჭირვებული და გაწამებულია, მუდამ ეძებს პრობლემის დაბრალების სუბიექტს და ამიტომ მესმის მათი, არასოდეს ვბრაზდები და მათთან არ მაქვს პრობლემა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხმალაძე აჟიოტაჟზე განმარტებებს აკეთებს



ხმალაძე ერთ-ერთი „კანონიერ ქურდობასთან“ დაკავშირებულ საკუთარ განცხადებაზე განმარტებას აკეთებს. მისი თქმით:

„მინდა, განვაცხადო, რომ არასოდეს მომწონდა და არასოდეს მომეწონება არც ქურდული კანონები და არც მასთან რაიმე ფორმით დაკავშირებული წესები, არც ის ადამიანები, რომლებიც ამ წესით ცხოვრობენ. შეკითხვაზე, რომელიც ქურდულ მენტალიტეტს შეეხებოდა, მე განვაცხადე, რომ ამ ნორმას აქვს ხარვეზი, რომელიც უკავშირდება ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს – ეს ნორმა იძლევა ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მაგალითად, თუ ვინმე იტყვის, რომ მას მოსწონს ქურდული წესები, ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში შესაძლებელია, დადგეს მისი სამართლებრივი დევნის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ წესების მიმდევარი არ არის. ამიტომ, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ნორმა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება. თუმცა, რადგან დღემდე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, მხოლოდ შეხედულების გამო ვინმე გაესამართლებინოთ, ვერ ვხედავ ნორმის შეცვლის აუცილებლობას, მით უფრო, ნორმის გაუქმების ან მისი მოქმედების შეჩერების საჭიროებას“, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა. (პირველი)

## არხოტში გზის მშენებლობა იწყება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, 2014 წლის გაზაფხულზე არხოტში 25-კილომეტრიანი გზის მშენებლობა დაიწყება.

„არხოტში დაიწყება 25-კილომეტრიანი გზის მშენებლობა. გზა პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთს ერთმანეთთთან დააკავშირებს. მშენებლობა 2014 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ამ დრომდე იქ მხოლოდ საცალფეხო ბილიკი არსებობს და ადგილობრივებს, რომლებმაც მხარე უგზოობისა და პირობების არქონის გამო დატოვეს, საკუთარ სახლში მისვლა, პრაქტიკულად, არ შეუძლიათ. საავტომობილო გზის გაჭრის შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნების მზაობა უკვე 32-მა ოჯახმა გამოთქვა.

გარდა ამისა, დაიგეგმა საჩხერე-შქმერი-ონის გზის მშენებლობაც. საჩხერე-შქმერის გზის მონაკვეთზე პირველმა ტრაქტორმა 2013 წლის ოქტომბერში უკვე გაიარა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, თბილისიდან ონამდე გზა ორ საათ-ნახევარში დაიფარება. რაც მთავარია, სიცოცხლე დაუბრუნდება ზემო რაჭის პრაქტიკულად დაცლილ ხეობას. ამ მონაკვეთზე გზის გაყვანა არაერთ ახალ სოციალურ და ეკონომიკურ პერსპექტივას გააჩენს“, – განაცხადა მინისტრმა. (ფრონტნიუსი)

## თავის ტვინში მოწევის სურვილის აღმძვრელ ნაწილებს მიაგნეს



– ადამიანის თავის ტვინში არსებობს ისეთი ადგილები, რომლებიც კონკრეტული მოვლენებისა თუ ჩვევების მიმართ ერთგვარი ბიძგის მიმცემია, – ასეთი დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა იელის უნივერსიტეტიდან გამოიტანეს.

სპეციალისტების ინფორმაციით, აღმოჩენის გაკეთება ნეირობიოლოგიურ საფუძველზე მავნე ჩვევების მიმართ ე.წ. კოგნიტიურ-მოქმედებითი სტრატეგიის კვლევის შედეგად მოხერხდა. უფრო ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ამერიკელები იმის დადგენას ცდილობდნენ, როგორ შეიძლება ადამიანს მავნე ჩვევებზე უარი ათქმევინონ და მგონი, საკმაოდ საინტერესო შედეგიც მიიღეს.

– რადგან შევიტყვეთ, ტვინის რომელი მონაკვეთები უბიძგებს ადამიანს მავნე ჩვევებისკენ, ვფიქრობთ, მათი დაბლოკვაც უნდა იყოს შესაძლებელი, – ამბობენ ამერიკელი სპეციალისტები.

ზუსტად როგორი იქნება სტრატეგია ამ ახალი აღმოჩენის გათვალისწინებით, წინასწარ თავად მეცნიერებიც ვერ ამბობენ, თუმცა თუკი ძალიან მოინდომებენ, ალბათ, ყველაფერი სასურველი შედეგებით დასრულდება და სიგარეტის გადაგდების ეფექტურ მეთოდს ერთხელ და სამუდამოდ მივიღებთ.

*medkarta.com*

## ახალ თეთრეულს კიბოს ამოცნობა შეუძლია



არავისთვისაა უცნობი, რომ რაც უფრო გვიანდება, ზოგადად, ნებისმიერი დაავადების მიმდინარეობის დადგენა და მით უმეტეს, კიბოსი, მკურნალობა მით უფრო რთულდება. სწორედ აქედან გამომდინარეა ძალიან მნიშვნელოვანი კომპანია „ფაირს ვარნინგ სისტემსის“ მიერ შექმნილი ჭკვიანი ბიუსტჰალტერი, რომელიც მკერდის კიბოს აღმოჩენას მის ადრეულ სტადიებზე სენსორების გამოყენებით ახერხებს.

კომპანიაში განმარტავენ, რომ ნამდვილი სასწაული მოახდინეს და ისეთი სენსორები შექმნეს, რომელიც უჯრედების ტემპერატურის ცვალებადობას აფიქსირებს. მას შემდეგ, რაც ამ ცვლილებას სენსორი გააანალიზებს, ინფორმაციას პატრონს აწვდის, რის შემდეგაც, რა თქმა უნდა, საქმეში უკვე ექიმები ერთვებიან.

სიახლის ავტორები უფრო კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებენ და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ბიუსტჰალტერის გაყიდვები მომდევნო წლიდან დაიწყება.

*medlinks.ru*

## როგორი ქალები აფრთხობენ და აშინებენ მამაკაცებს?



„გუდიანი“ შეიძლება კაცი არსებობდეს, რომელიც, თუ საჭმელს არ შეჭამ, მოვა და წაგიყვანს... რაც შეეხება ქალს, გუდებით ის არ დადის და არც ჭამის გამო გადაგკარგავს უმისამართოდ, მაგრამ მაინც ისე გამოდის, რომ უამრავი მამაკაცის შეშინებას დიდი მცდელობის გარეშე ახერხებს...

როგორც აღმოჩნდა, არსებობს ქალების 5 სხვადასხვა ტიპი, რომლებიც მამაკაცებს აფრთხობს და აშინებს. იტალიელმა მეცნიერებმა სწორედ ეს ტიპები დაასახელეს და განმარტეს, რატომ ეშინიათ მამაკაცებს ასეთი ქალების.

კვლევის შედეგად მომზადდა ქალების ერთგვარი რეიტინგი, რომლებიც მამაკაცებს ცოლად არ მოჰყავთ, ან მოჰყავთ, მაგრამ არცთუ ხშირად.

პირველი: ქალები, რომლებიც გათხოვების სურვილით არიან შეპყრობილები (ალბათ, ასეთს ძალიან ბევრს იცნობთ).

მეორე: შვილიანი ქალები (პირადად ჩვენი აზრით, ასეთ ქალებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მამაკაცებისგან შანსი და უზარმაზარ სიბრიყვედ მიგვაჩნია მათზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ პირველი ქორწინება წარუმატებლად დასრულდა).



მესამე: ნაკითხი, განათლებული ქალები (ახლა, თუ მამაკაცი თავად არის გაუნათლებელი და ხეპრე, რა თქმა უნდა, ინტელექტუალი პარტნიორის შეეშინდება კი არა, სათოფეზეც არ და ვერ მიეკარება).

მეოთხე: ქალები, რომლებსაც ჰყავთ უამრავი მეგობარი, მაგრამ არ გააჩნიათ საკუთარი აზრი (გინდ ქალი იყოს და გინდ კაცი, თუკი საკუთარი აზრი არ აქვს, მართლა რთულია მასთან ურთიერთობა, ალბათ, დაგვეთანხმებით).

მეხუთე: ამაყი, თვითკმაყოფილი ქალები, რომლებიც საკუთარ თავს დედოფლად მიიჩნევენ (ჯერ ერთი, მეფეების, დედოფლებისა და ბატონების დრო კარგა ხნის წინ გავიდა. მერე მეორე – დედოფალი, პრინცესა და ბარბი რომ უნდოდეს კაცს, თოჯინებთან ექნებოდა ურთიერთობა).

ისე, სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ ორივე მხარემ უნდა თქვას უარი გარკვეულ მინუსებზე და შიშები და ფეთიანობაც თავისით გაქრება...

*woman.ru*

## ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა... მეორე ქორწინება



ადამიანთან სასიყვარულო ურთიერთობაზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ ცოლს ან ქმარს გაშორებულია, მართლაც ძალიან დიდი სისულელე და უაზრობაა. ბედნიერების უფლება ყველას აქვს და მათ შორის, გათხოვილ-გამოთხოვილსაც და დაქორწინებულ-გამოქორწინებულსაც. მით უმეტეს, რომ მეორედ გათხოვება თურმე, ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს, განსაკუთრებით კი – ქალის ჯანმრთელობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტებმა გამოკითხვა და გარდა ამისა, სამედიცინო ბარათების ანალიზი ჩაატარეს. შედეგად დაადგინეს, რომ უმეტეს შემთხვევაში, მეორე ქორწინება ქალზე პოზიტიურად მოქმედებს. კერძოდ, უმჯობესდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა და შესაბამისად, სიცოცხლე უფრო ხანგრძლივი ხდება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მამაკაცებს გული არ უნდა დასწყდეთ, რადგან მეორე ქორწინება მათზეც არანაკლებ დადებით გავლენას ახდენს.

*myjane.ru*

## ლეკვები და კნუტები ეფექტურად მუშაობაში დაგვეხმარებიან



არ ჩაიქნიოთ ხელი და არ თქვათ, ალერგიას მაძლევს ცხოველებთან კონტაქტიო, რადგან სულაც არ არის საჭირო, მაინცდამაინც კალთაში ჩაისვათ გნებავთ, ლეკვი, გნებავთ, კნუტი. აბა, როგორლა დაგვეხმარებიან ისინი შრომისუნარიანობის ამაღლებაში? ძალიან მარტივად – საკმარისია კომპიუტერის ეკრანზე მათი ფოტო დააყენოთ.

ასეთი დასკვნა გამოიტანეს ფსიქოლოგებმა ჰიროსიმადან მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტი ჩაატარეს.

ექსპერიმენტში 50 ადამიანი იყო ჩართული. ისინი სამ ჯგუფად გაყვეს. ერთ ჯგუფს ლეკვებისა და კნუტების ფოტოებს აჩვენებდნენ, მეორეს – დიდი ცხოველების, მესამეს – არც არაფერს. ამის შემდეგ, მოხალისეებს ტესტის შევსება შესთავაზეს.

ყველაზე საუკეთესო შედეგი იმ რესპონდენტებმა აჩვენეს, რომლებიც ცოტა ხნით ადრე სწორედ ლეკვებისა და კნუტების ფოტოებს ათვალიერებდნენ.

